პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ოთხშაბათი 12 მარტი № 60 (17703) ფასი 2 კაპ.

ბელადის სტრიქონებს მიღმა

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი გარდაქმნები ლენინური იდეების სისწორისა და უძლეველობის დამჯერებელი დადასტურებაა. თავის ნაშრომებში, წერილებსა და გამოსვლებში ვლადიმერ ილიას ძეს არაერთხელ უხსენებია საქართველო, დიდად აინტერესებდა საქართველოს ბედი, მისი სახალხო მეურნეობის, კულტურის განვითარება, მისი აურაცხელი სიმდიდრეების გამოყენება.

საქინფორმის მიერ მომზადებულ ამ მასალაში, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ, მოთხრობილია იმ მოვლენებსა და ფაქტებზე, რომლებიც ვ. ი. ლენინს აინტერესებდა...

ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშათა სამი თაობის წარმომადგენლებს მიანიჭეს უფლება მიიღონ „შავი ოქროს“ საიუბილეო ნაკადი. ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის რეზერვუარებთან შრომითს ვახტზე მათთან ერთად, ვინც პირველი ახორციელებდა ლენინურ ოცნებას ამიერკავკასიის რესპუბლიკების განვითარების შესახებ, მათი შვილები და შვილიშვილებიც დადგნენ.

1930 წლის 21 თებერვალს 18 საათსა და 15 წუთზე ბაქოს ნავთობის პირველი ტონები მოვიდა აჭარის ინდუსტრიალიზაციის პირმშოს რეზერვუარებში. ამას დასაბამი მისცა ლენინის აზრმა, ლენინის ზრუნვამ მეფის რუსეთის ყოფილი განაპირა მხარეების განვითარებისათვის. თანაც ბათუმი ჩინებულ შესაძლებლობას აძლევდა საბჭოთა ქვეყანას მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე გასვლისათვის. „წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? — თქვა ვ. ი. ლენინმა 1921 წლის 16 მარტს რკპ (ბ) X ყრილობის დახურვისას წარმოთქმულ სიტყვაში, — თქვენ მალე წაიკითხავთ რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე, ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ“.

ბაქო-თბილისის ნავთობსადენს, რომელიც ვ. ი. ლენინმა ახსენა, წლების მანძილზე იყენებდნენ მხოლოდ როგორც ნავთსადენს. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში გაფუჭებული ეს ნავთობსადენი აღადგინეს და იგი ბათუმამდე გადაიჭიმა.

...გადიოდა წლები. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნავთობის საბადო გამორიცხავდა აზერბაიჯანის დედაქალაქიდან მისი გადმოტუმბვის საჭიროებას. ჩასასხმელი ესტაკადით, რომელიც ნავთობსადენის ცენტრს ეკვრის, ბათუმში წავიდა ქართული ნავთობი. მაგრამ დროს თავისი მიაქვს, იგი დაუინებით გვიკარნახებს ნავთობის ინდუსტრიის შემდგომი განვითარების პირობებს. უკვე მიმდინარე წელს ძველ ნავთობსადენს შეცვლის ახალი მძლავრი ნავთობსადენი, რომელიც სამგორიდან ბათუმამდე გადაიჭიმება. იგი გახდება მშენებლების შესანიშნავი საჩუქარი ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის.

● ●

მიუხედავად რთული გეოლოგიური პირობებისა, ტყვარჩელის ლენინის სახელობის შახტის გვირაბგამყვანე ბ მ ა ვადაზე ორი თვით ადრე მოამზადეს საექსპლოატაციოდ ქვანახშირის ახალი ლავა. ამ ჰორიზონტიდან. საწმენდი გვირაბების მუშები ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის თავიანთ ვალდებულებათა გადაჭარბებით ამოიღებენ 15 ათას ტონა კოქსვად ქვანახშირს.

ცნობილ წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“ ვლადიმერ ილიას ძე აღნიშნავდა: „ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა არასრული სია“, და მოუწოდებდა „მთელი ძალღონით განავითარეთ საწარმოო ძალები“.

დიდი ბელადის მიერ 1921 წლის 14 აპრილს დაწერილი ეს სიტყვები აი უკვე 59 წელია წიაღის მაძიებელთა და „შავი ოქროს“ მომპოვებელთა სამუშაო პროგრამაა.

ტყვარჩელის მაღაროები აფხაზეთის მრავალეროვანი მუშათა კლასის სამჭედლოდ იქცა.

ამჟამად ქალაქში, სადაც მუშაობს ექვსი მაღალი მთის შახტი, ცენტრალური ქვანახშირის მამდიდრებელი ფაბრიკა, ჰიდროელექტროსადგური, ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოები, შრომობს დაახლოებით 30 ათასი მაღაროელი, ენერგეტიკოსი, მშენებელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ განსაზღვრეს აღმშენებლობის შემდგომი პროგრამა. მეათე ხუთწლედის წლებში აქ აშენდა ჩვენი ქვეყნის სამხრეთით უდიდესი დოლომიტის მაღაარო, მუშაობა დაიწყო სამკერვალო ფაბრიკამ, კერამიკული ნაწარმის ქარხანამ.





ოცნებები სინამდვილედ იქცა

ლენინის წინასწარმეტყველება სინამდვილედ იქცა. დღეს ბათუმის საზღვაო ნავსადგურით ნავთობპროდუქტები, რომლებსაც ბაქოს ნედლეულისაგან იღებენ, საზღვარგარეთის ოცდაათ ქვეყანაში გეზავნება.

ათი სახეობის პროდუქციას უშვებს ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. მათ შორის შვიდს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა. ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის წელს ბათუმელი მენავთობეები ასიათასობით მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას გაასაღებენ.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერებს ყოველწლიურად ბათუმელი მენავთობეების მიერ დამზადებული ასიათასობით ტონა ნავთობპროდუქტი გადაეჭვრ.

სურათებზე: ვ. ი. ლენინის ძეგლი ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში; ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ნავთობჩასასხმელი უბანი; მემანქანეები ვაჟა ქლებაძე და თამაზ ქავთარაძე სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პროდუქტების მიღების ტექნოლოგიური პროცესის ხაზთან.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს

ბიდი ბელადის სახელი დამკვრელური შრომისა და გმირობისათვის რაზმავს მილიონობით მშრომელს. მოწოდებამ — გადავაქციოთ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი დამკვრელური ლენინური მუშაობის წლად — დიდი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია ჩვენს რესპუბლიკაში. თბილისში, ქუთაისში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში ფართოდ გაიშალა პატრიოტული მოძრაობა — დიდი ლენინის დაბადების დღეს, ოცდაორ აპრილს შეასრულონ პირადი წლიური საწარმოო დავალებები.

ძნელია ახლა სადმე შეხვდე შრომითს კოლექტივს, რომელიც მთელი ენერგიითა და მონდომებით არ იღვწოდეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავად, ძნელია დაასახელო ადამიანი, რომ განმსჭვალული არ იყოს გულწრფელი გრძნობით — შეიტანოს თავისი მოკრძალებული წვლილი საიუბილეო ნობათებში.

არა მარტო დიდი ბელადის სიყვარული, არამედ ღრმა შეგნება, პოლიტიკური სიმწიფე და კომუნისტური იდეალების ერთგულება ჩანს იმ თვალსაჩინო ფაქტში, როცა, მაგალითად, თბილისელი გვირაბგამყვანები ვალდებულებას იღებენ დადგენ ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო შრომითს ვახტზე და სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმის გადაჭარბებით აითვისონ 2 მილიონი მანეთის სამუშაოები.

ჭეშმარიტი ერთსულოვნება იგრძნობა წერილებში, რომლებიც ახლახან მიიღო რედაქციამ. თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“, ყვარლის რაიონის სოფელ ქვემოჭალისა და წითელწყაროს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის კოლექტივები გვნერენ — ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ მიმდინარე წელი გამდვილი დამკვრელური ლენინური მუშაობის წელი იყოსო.

განა ლენინური შრომის ზეიმი არ იყო ამ დღეებში საქართველოს სს რესპუბლიკისათვის საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის ზედიზედ მეშვიდედ გადაცემა და ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენი მშრომელების მტკიცე პირობა — არ დათმონ იგი, კიდევ უფრო ამრავლონ წარმატებები, შრომით განადიდონ რესპუბლიკა, მისი სახელი. ჩვენი პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია, რომ საბჭოთა ადამიანებს, ჩვენს მკლავმოუღლელ მშრომელებს აქვთ მტკიცე ცხოვრებისეული პოზიცია, ერწმენისა და ქცევის ერთიანობა, მიზნის სიცხადე.

განუხრელად შევასრულოთ დიდი ლენინის ანდერძი, შევიარაღოთ თითოეული საბჭოთა მოქალაქე ლენინური იდეებით, ჩავუნერგოთ მათ ლენინური მისწრაფება კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის — ეს არის დღეს პარტიული ორგანიზაციების, მთელი ჩვენი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის საფუძველი.

და ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი გულმოდგინედ, ნოვალეობის ღრმა შეგნებით ემზადება რომ დიდი ლენინის დაბადების 110-ე წელი გადააქციოს ლენინური დამკვრელური შრომის წლად, მასების ნებასა და აზრს, მათ პატრიოტულ მოძრაობას — რაც შეიძლება მაღალი შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდი ბელადის იუბილეს — შესანიშნავად ეხამება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება — დღეს, 12 მარტს, მოეწყოს ერთიანი პოლიტდღე, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის საიუბილეო თარიღისადმი.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია ამ ერთიანი პოლიტდღით გათვალისწინებული ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რა მშრომელთა აღზრდას ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით, უშუალოდ წარმოება-დაწესებულებებში, მშენებლობის ხარაჩოებზე თუ საკოლმეურნეო მინდვრებში მშრომელ მასებთან საუბრებს გამართავს იდეოლოგიური დარგის ათასობით მუშაკი. პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური სწავლების, მშრომელთა ეკონომიკური სწავლების სისტემაში, სახალხო უნივერსიტეტებსა თუ კომუნისტური შრომის სკოლებში მეცადინეობის თემა იქნება „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს!“.

იმისათვის, რომ ერთიანი პოლიტდღე მაღალორგანიზებულად ჩაინყოს, დიდი მუშაობა გასწიეს პარტიულმა ორგანიზაციებმა, იდეოლოგიური დარგის მუშაკებმა, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა.

ჯერ კიდევ თებერვლის ბოლოსათვის შეადგინეს და გააანალიზეს ერთიანი პოლიტდღის ჩატარების გეგმა თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, პროპაგანდისტებს დაურიგდათ საცნობარო მასალა და რეკომენდაციები ძირითადი თემის დასამუშავებლად. ამჟამად პარტიული, პროფკავშირული და ეკონომიკური განათლების სისტემაში ჩაბმულია შვიდასზე მეტი მუშაკი.

პარტიული და ეკონომიკური განათლების მაღალი ორგანიზებულობისა და პოლიტიკური სიმწიფის შედეგია, რომ მიმდინარე წლის ორი თვის გეგმა ფაბრიკამ გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით უკვე გამოშვებულია 65 ათასი მანეთის პროდუქცია. დიდი ბელადის იუბილესათვის მთლიანად ფაბრიკა ოთხი თვის გეგმას შეასრულებს, ხოლო, საქონელი და საგამომჭრელო საამქროები მეათე ხუთწლედის ზღვარს გადააბიჯებენ.

საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვმა“ ვალდებულება იკისრა ლენინური შრომის წელს გამოუშვას 1 400 000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, დიდი ბელადის დაბადების 110-ე გაერთიანების კოლექტივი შეასრულებს ოთხი თვის საწარმოო გეგმას. და აი, ახლა საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ პარტიულმა ბიურომ ორი კვირით ადრე საგანგებო სხდომაზე განიხილა საკითხი, თუ როგორ შეიძლება მაღალორგანიზებულად წარმართოს ერთიანი პოლიტდღისათვის მზადება და დასახა საყურადღებო ღონისძიებები.

პარტიის ვეტერანის სტუმრობით დაიწყება ერთიანი პოლიტდღე თბილისის საინსტრუმენტო ქარხანაში. ნარმოების კოლექტივი შეხვდება 1918 წლიდან სკკპ წევრს ა. კუკულაძეს. სახელოვანი ვეტერანი ეესაუბრება მათ იმ გმირულ რევოლუციურ ტრადიციებზე, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს მისი თაობის წარმომადგენლებმა. არანაკლებ საინტერესოა მუშა-მოსამსახურეთა შეხვედრა ამ საწარმოს თვალსაჩინო ადამიანებთან — საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატებთან. ეს იქნება პირველი ოფიციალური და საქმიანი საუბარი წელს ქარხნის შრომელებისა ხალხის რჩეულებთან.

დღევანდელი დღე იქნება ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის ჩვენს მიერ განეული შრომისა და ღვაწლის ჭეშმარიტი დათვალიერება.

ამიტომ ამ გრანდიოზულ ღონისძიებას კიდევ უფრო მეტ შინაარსს და მნიშვნელობას მატებს ის, რომ ერთიან პოლიტდღეში ონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები.

როცა დიდი ბელადის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ერთიანი პოლიტდღის მაღალორგანიზებულად ჩატარებისათვის რესპუბლიკის შრომელთა ზმაგდოფნას ვეცნობით, ერ შეიძლება გულის სიღრმიდან არ ამოგვხდეს ჭეშმარიტად ულღრწფელი სიტყვები: ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს; ლენინი გზას გვინათებს ბედნიერებისა და ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში!

დღეს მთელ საქართველოში ერთიანი პოლიტდღეა. მან უნდა ცხადყოს ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის ჩვენი ბრძოლა და თავდადება, დამაჯერებლად გვიჩვენოს რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები, რომლებითაც ეგებებიან ისინი დიდი ბელადის სახელოვან იუბილეს.

ვიცხოვროთ, ვიშრომოთ, ვისწავლოთ ლენინურად!

დიდი გულისყურით, პასუხისმგებლობით...

ჩოხატაურის რაიონის მშრომელები, მისი პარტიული ორგანიზაცია მუდამ განსაკუთრებული გულისყურითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან პარტიის ყოველ მოწოდებას. ასე მოხდა ამჯერადაც, რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ მხურვალედ დაუჭირა მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას — მოეწყოთ ერთიანი პოლიტდღე, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს მიეძღვნება.

იმის თაობაზე, თუ რა გაკეთდა ამ მხრივ რაიონში, ვესაუბრეთ პარტიის ჩოხატაურის რაიკომის მდივანს კ. მდინარაძეს.

— ძალაში შევიდა ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, — თქვა კ. მდინარაძემ, — რომელიც განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ჩვენი დიადი სამშობლოს სახელოვან ისტორიაში, დაიკავებს იმიტომ, რომ წლევანდელი წელი სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადების წელიც არის და, რაც მთავარია, მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით აღნიშნავენ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს. ამ საიუბილეო თარიღის ღირსეული აღნიშვნისათვის ჩოხატაურის რაიონში უკვე მოეწყო მრავალი ღონისძიება. რაიონის მშრომელებმა მოისმინეს ლექციამოხსენებები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. გაიმართა ავრეთვე კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები. კონფერენციები და სხვა ღონისძიებები, რომლებსაც დიდი მოწონებით შეხვდნენ რაიონის წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები. ახლა მთელ ყურადღებას იმას უთმობენ, რომ მაღალ ორგანიზებულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე გაიმართოს ერთიანი პოლიტდღე. ამისათვის პარტიის ჩოხატაურის რაიკომმა შეიმუშავა ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ორგანიზატორული და თეორიული ხასიათის მოსამზადებელ სამუშაოებს. ამ გეგმის საფუძველზე პარტიულ კომიტეტებში, პროპაგანდისტთა, პოლიტინფორმატორთა, აგიტატორთა მეთოდიკური საბჭოების სხდომებზე გულდასმით დაამუშავეს თემა — „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“. ამავე დროს ფართო სკკ-ბაასი გაჩაღდა იმ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის გზებსა და მეთოდებზე, რომლებიც ხუთწლედის დამამთავრებელმა წელმა დაუსახა რაიონის მშრომელებს.

დიდი ბელადის იუბილესათვის მზადების დღეები ჩოხატაურის რაიონში, მართლაც რომ, ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით აღინიშნება. რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე ნაყოფიერი შრომაა გაჩაღებული. რაიონის მშრომელები იჩენენ ახალ თაოსნობებს, კისრულობენ ახალ ვალდებულებებს. მასების შრომითი შემართება კიდევ უფრო გააძლიერა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა იმ ფაქტმა, რომ ჩვენი სახელოვანი რესპუბლიკა ზედიზედ მეშვიდედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამ დიდი ჯილდოს პასუხად რაიონის მშრომელებმა წარმატებით გაანაღდეს იანვრისა და თებერვლის გეგმა-ვალდებულებები. გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. უამინდობის მიუხედავად წარმატებით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩოხატაურელებმა წლეულს ორმაგი სიხარული განიცადეს. მათ მხურვალე იზეიმეს რესპუბლიკისა და მშობლიური რაიონის გამარჯვება — შარშანდელი სამეურნეო მაჩვენებლების მიხედვით რაიონის მშრომელებმა დაიმსახურეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რაც ლენინური ცხოვრებისა და შრომის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია.

ეს და სხვა მაგალითები კიდევ უფრო გააცხოველებს და საინტერესოს გახდის ერთიან პოლიტდღეს, რომელიც გაიმართება რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა უბანში, პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური სწავლების, მშრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემაში, სახალხო უნივერსიტეტებში და სხვაგან. ამ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ პარტიის რაიკომისა და ბიუროს წევრები, პოლიტმომხსენებლები, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები, პოლიტინფორმატორები, პროპაგანდისტები, აგიტატორები და იდეოლოგიური დარგის სხვა მუშაკები — 1200 კაცი, რომლებიც რაიონის მშრომელებს ესაუბრებიან ლენინის იდეების სიდიადეზე, ლენინური სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდაზე, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული საშინაო, საგარეო პოლიტიკის მიღწევებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



ᲓᲦᲔᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ...

მსაუბარი მრეწველობის სამინისტროს № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკაში ერთიანი პოლიტდღის მაღალორგანიზებულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოწყობისათვის მრავალი ღონისძიება განხორციელდა.

ფაბრიკის პროპაგანდისტებთან გამართულ სემინარზე დიდი ინტერესით მოისმინეს ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნის თ. კუპრაძის მოხსენება. იგი მსმენელებს ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ამ პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სტატიაში დასახული ამოცანების შესახებ.

პოლიტინფორმატორებისა და აგიტატორების სემინარზე პარტიულის მდივნის მოადგილემ ვ. ვლასოვამ ერთიანი პოლიტდღის საერთო თემას დაუკავშირა თავისი მოხსენება „წუთის ფასი“. მან ილაპარაკა იმაზე თუ როგორ აფასებდა ლენინი სამუშაო დროს.

თავიანთ მხრივ პოლიტინფორმატორებს ლ. ვორდაძეს, გ. მალოსოვას, აგიტატორებს ნ. სიხარულიძეს, ლ. დურგლიშვილს საინტერესო საუბრები ჰქონდათ შესაბამისი საამქროების მუშაკებთან.

პოლიტდღისა თ ვ ი ს მზადების პიროდში ფაბრიკის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე საგანმანათლებლო სამეურნეო საქმიანობას. დადგა რა ბელადის საიუბილეო შრომითს ვახტზე, ფაბრიკის 30-მა მოშამ უკვე დაამთავრა მეათე ხუთწლედი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპმა 11 პროცენტი შეადგინა, 60-მდე მსმენელმა კი სამი თვის საწარმოო დავალებები 12 მარტისათვის შეასრულა.

დღეს ფაბრიკაში მრავალი ღონისძიებაა დასახული. ფაბრიკის საამქრო დარბაზში გაიმართება თეორიული კონფერენცია. ცალ-ცალკე ხუთ ჯგუფში მოეწყობა პოლიტმეცადინეობები. პოლიტინფორმატორები და აგიტატორები თავ-თავიანთ უბნებში გამართავენ საუბრებს თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე. მოეწყობა შეხვედრები სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებთან და სხვ.

ერთიანი პოლიტდღე დამაჯერებლად ცხადყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში იმ დიდ გარდაქმნებსა და წარმატებებს, რომლებიც ამ ბოლო წლებში პარტიისა და მთავრობის სისტემატური მზრუნველობის შედეგად მოხდა. ფარფოდ იქნება აგრეთვე საუბარი იმის შესახებ, თუ რით ეგებება ფაბრიკის კოლექტივი ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, და როგორ იბრძვის სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების განსახორციელებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკაში ერთიანი პოლიტდღე წარიმართება ლენინის საქმეების უსაზღვრო ერთგულების ნიშნით.

რ. ნინოშვილი.

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲗᲔᲛᲐ

— მეტად გაგვახარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებამ რესპუბლიკაში ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ერთიანი პოლიტდღის ჩატარების შესახებ. და აი, ეს დღეც დადგა, — გვითხრა დიმიტრ სასწავლო-საცდელი მეურნეობის ეკონომიკური სკოლის პროპაგანდისტმა, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის კათედრის დოცენტმა მ. ჭელიძემ, — დღევანდელი დღისთვის საგანგებოდ მოემზადნენ მსმენელები. ძირითადი თემის გვერდით — „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“ ჩვენ შევისწავლით ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა 22 თებერვალს ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე; ჩვენთვის მთავარია ამ სიტყვაში გამოთქმული დებულებები და მოსაზრებანი, ვავაანალიზოთ ისინი და ჩვენი მეურნეობის ცხოვრებას დავუკავშიროთ.

მეურნეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ილაპარაკებს მეურნეობის მთავარი ეკონომისტი ვ. ჩიქოვანი.

მეურნეობის წინსვლა დიდად არის დამოკიდებული გამართულ ტექნიკაზე. თუ როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ მეურნეობაში, ამის თაობაზე მასალებს გაგვაცნობს მეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი ბ. ფოტაკარაძე.

პოლიტმეცადინეობაზე ვისაუბრებთ, თუ როგორ ვემზადებით სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შესახვედრად.

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავთან დაკავშირებით მეურნეობაში მოვაწყობთ წითელ კუთხეს, ხოლო დღეს ვაპირებთ დავათვალიეროთ ვ. ი. ლენინის სახელმწიფო მუზეუმი.

ლ. ᲒᲣᲠᲣᲚᲘ.

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ჯუნგლებიდან

ამას წინათ თბილისში გამართულმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ გააანალიზა კერძომესაკუთრული ტენდენციების წარმოშობი მიზეზები და მყარი ნიადაგი მოამზადა მათი დაძლევის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

კონფერენციამ ცხადყო, რომ კომუნისტური ზნეობრივი ნორმების საყოველთაო დამკვიდრებისა, და რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საგოლოო გაჯანსაღებისათვის საჭიროა როგორც პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების უფრო პრინციპული და მიზანშეწონილი ბრძოლა, ასევე სამეცნიერო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა ამ მხრივ დასახული ღონისძიებების განხორციელებაში.

დღეიდან რედაქცია ბეჭდავს სტატიებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს მათივე ავტორთა გამოსვლები სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე.

(თეორია და პრაქტიკა)

პიროვნების შეგნებაში კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის მეცნიერული საფუძვლების დამუშავების ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციოლოგიური და სხვა ასპექტების გარდა გარკვეული ფსიქოლოგიური ასპექტები აქვს.

კ. მარქსმა გაარკვია, თუ როგორია ადამიანის ფსიქოლოგიური ბუნება კერძო საკუთრებაზე აგებული საზოგადოების პირობებში და, ამის საპირისპიროდ, როგორია ის სოციალისტური, კომუნისტური საზოგადოების პირობებში. კ. მარქსი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ადამიანთა შეგნებაში კერძომესაკუთრული ტენდენციების ბატონობა — ეს ნიშნავს ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების, მისი მრავალფეროვნებისა და მშვენიერების საოცარ გაუბარალოებასა და გაღატაკებას—ყოველივე ამის მხოლოდ საგნის საკუთრების ქვეენა გრძნობაზე დაყვანას, კ. მარქსს მოჰყავს იმის მაგალითი, რომ კერძომესაკუთრული გრძნობის გაბატონების ვითარებაში იკარგება უშუალო „საგნობრივი მიმართება", მიმართება „საგნისადმი თავად საგნისათვის". ადამიანის თვალიც კი კარგავს მის ადამიანურ თვისებებს. მაგალითად, ძვირფასი ქვებით მოვაჭრე მის მხოლოდ მერკანტილურ ფასეულობას ხედავს და არა ამ ქვის სილამაზესა და მშვენიერ ბუნებას. აქ უარყოფილია მიმართება „საგნისადმი თავად საგნისათვის". კ. მარქსს მიაჩნია, რომ კერძო საკუთრების გაუქმება ნიშნავს ადამიანის ყველა არსებითი ძალის სრულ „მასსიპაციას" ადამიანისათვის ყველა ძვირფასი სულიერი თვისების დაბრუნებას.

ამიტომაც, განვითარებული სოციალიზმის პირობებში კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის რეალური გზების განსაზღვრის მეცნიერული საფუძვლების დამუშავება უთუოდ ფსიქოლოგიური პრობლემაც არის.

კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლა, ბრძოლა ადამიანთა შეგნებაში კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ — ეს არის ბრძოლა აგრეთვე იმის დაასაძლევად, რაც აოატკივებს და აუბრალოებს ადამიანის სულიერ ცხოვრებას.

რა არის ძირითადად, განვითარებული სოციალიზმის პირობებში კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის რეალური გზების განსაზღვრის მეცნიერული საფუძვლების დამუშავების ფსიქოლოგიური ასპექტი?

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. შევარდნაძე აღნიშნავდა: „წარსულის ყველაზე გამძლე გადმონაშთია კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია და მორალი". სოციალისტური საზოგადოების ამ ანტაპოდური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას არ ეშინება წარმატება, — ხაზს უსვამს ამხ. ე. შევარდნაძე, თუ „ვერ დავეუფლეთ იმის ხელოვნებასა და მეცნიერებას, რომ გავლენა მოვახდინოთ შეგნებისაკენ მიმავალ ყოველ სოციალურ ნერვზე და ამის საფუძველზე გავლენა ვერ მოვახდინეთ მის შეგნებაზე". ამრიგად, სოციალიზმის პირობებში ნეგატიური მოვლენების დაძლევის გზების ეფექტიანობის ფსიქოლოგიური კანონზომიერებები — ეს უწინარეს ყოვლისა, ადამიანის პიროვნებაზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური კანონზომიერებებია. მაშასადამე, გასარკვევია ფსიქოლოგიური საკითხი: რაში მდგომარეობს პიროვნებაზე ზემოქმედების გზების ფსიქოლოგიური არსი?

პიროვნებაზე ზემოქმედების საშუალებებზე მსჯელობისას ძირითადად იგულისხმება პიროვნების შეგნების გარკვეული მიმართულებით ჩამოყალიბება.

შეგნება, უწინარეს ყოვლისა, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების უზოგადესი კანონების შემეცნებაშია, მის დაუფლებაში მდგომარეობს. იდეალისტური მოძღვრება არ ცნობს, რომ შეგნება დამოკიდებულია ყოფიერებაზე, რეალური საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. მარქსისტი მატერიალისტი მკვლევარები კი ადამიანის შეგნებას არა მარტო მისი შემეცნებითი აქტივობისაგან, არამედ მთელი მისი რეალური ურთიერთობებისაგან, მისი ყოფიერებისაგან წარმოებულს განიხილავენ.

შეგნება, როგორც ცოდნა, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა, ხშირად არ იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ დაძლეულ იქნას ადამიანთა ქცევაში ნეგატიური ტენდენციები.

საბჭოთა ფსიქოლოგებმა ექსპერიმენტულად დაადგინეს, რომ შეგნებას ცოდნის მომენტის გარდა სხვა ხარვეზიც აქვს: შეგნება არის, ამასთან ერთად, ცოდნით მიღებულის მიმართ პიროვნების განწყობა, დამოკიდებულება. საქმე ის არის, რომ „შეცნობილმა" და „გაგებულმა" უნდა შეიძინოს კიდევ როგორც იტყვიან, პიროვნებისათვის ამ ცოდნის მიღების „სუბიექტური აზრი", „სუბიექტური ღირებულება". ა. ლეონტიევი ამ განსხვავებას „მნიშვნელობისა" და „აზრის" ტერმინების საშუალებით გამოხატავს, ტერმინი (მნიშვნელობა) გააზრებული ფორმა როგორც ობიექტური ცოდნის შინაარსი. (მაგალითად, კომუნისტური მორალის კოდექსის ცოდნა), გასათვალისწინებელი არის, რომ კომუნისტური ზნეობის, მორალური კოდექსის ცოდნას ერისათვის კომუნისტური პრინციპების განხორციელების „სუბიექტური აზრი" შეიძლება ჰქონდეს, მეორისთვის კი იგი (ცოდნა) ამის საწინააღმდეგო „სუბიექტური აზრის" მატარებელი იყოს.

ამრიგად, „ცნობილი" და „გაგებული" ერთ შემთხვევაში შეიძლება რეალურად მართავდეს ინდივიდის საქმიანობას, სხვებისათვის კი ის შეიძლება დარჩეს მხოლოდ სტაყიერ ცოდნად, რომელიც სრულიად არ განსაზღვრავს მათ საქმიანობას.

პარტიის XXV ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვეხვდებიან ადამიანები, რომლებმაც იციან ჩვენი პოლიტიკა და ჩვენი პრინციპები, მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის არ იქცევენ მათ, არ იბრძვიან მათი განხორციელებისათვის. ასეთ ადამიანებს ბევრი ადამიანი, ეგოიზმის და სხვა ანალოგიური ყალბ საფუძველზე აგებული ოჯახური აღზრდის გამო, რომ თვალერძა ორიენტაციის მოზარდებს მაინც ვხვდებით სასკოლო სწავლების ადრეულ საფეხურზე — V-VI კლასებში. ეს ვითარება გვავალებს, რომ ავამაღლოთ მშობელთა პედაგოგიური განათლების დონე მშობელთა უნივერსიტეტებში, და სკოლიოზულად მოვიკიდოთ მშობელთათვის პედაგოგიური ბიბლიოთეკის სერიის გამოცემის საქმეს.

ოჯახური აღზრდის წარმატება ბავშვის საზოგადოებრივი მიმართულების განვითარების საქმეში ბევრადაა დამოკიდებული მშობლების ავტორიტეტზე. მაკარენკოს აზრით, მშობლის ეს ფენომენი ავტორიტეტთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც იგი მშობლის მიერ საზოგადოებრივ ფასეულობად შექმნილა, მის დამსახურებულ საზოგადოებრივ მდგომარეობას, მის კეთილსინდისიერ შრომას, მოქალაქეობრივ სახეს ეყრდნობა.

ლ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში შესრულებული გამოკვლევების მიხედვით ბავშვის მიერ მშობლის ავტორიტეტის აღიარების მოტივების ორი ძირითადი კატეგორია არსებობს: სუბიექტური და ობიექტური. მშობლის ავტორიტეტის სუბიექტური ხასიათის მოტივაციისას ბავშვისა და მოზარდისათვის ამოსავალი პოზიცია არის მხოლოდ მისი პირადი „მე", ავტორიტეტიდან გამომდინარე საწყისის, მის პიროვნებასთან დამოკიდებულების ხასიათი. ამ შემთხვევაში მშობლის ავტორიტეტს ბავშვი და მოზარდი აღიარებს პრინციპებით: „მე ვუყვარდარ", „მამაჩემი ჩემზე ზრუნავს". მის შეგნებაში ყველაფერი მხოლოდ მის პერსონაჟთან, „მე„-სთან მიმართებაში იძენს ღირებულებას.

სულ სხვა ვითარებაა, როდესაც ბავშვის თვალში მშობლის ავტორიტეტი მისი მოღვაწეობის საზოგადოებრივ ღირებულებაზე, კეთილსინდისიერი შრომის საზოგადოებრივ აღიარებაზე, მის სოციალურ აქტივობაზეა აგებული. ამ შემთხვევაში სულ სხვა ღირებულებითი ორიენტაციის მქონე პიროვნების ჩამოყალიბების ნიადაგი იქმნება. ასეთი ავტორიტეტის გარემოცვაში ხელსაყრელი ნიადაგია შექმნილი ისეთი პიროვნების აღზრდისათვის, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების საკეთილდღეოდ მიმართული თავდადებული შრომისაკენ, კოლექტიური ღირებულებისაკენ.

ყველაფერი ზემოთქმული იმას მოწმობს, რომ სკოლას მოზარდში ოჯახური აღზრდის მანკიერებით შექმნილი ისეთი არაჯანსაღი მოტივებისა და მოთხოვნილებების დაძლევა უნდება, რომლებიც პოტენციურად ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს. ნეგატიური ტენდენციების განვითარებისათვის ინდივიდის საქმიანობაში. ამის აღმოსაფხვრელად კი სკოლა სისტემატურად უნდა იბრძოდეს.

ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაცემები იმას მოწმობს, რომ მოთხოვნილებებისა და მოტივების ჩამოყალიბება გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. კერძოდ, დადასტურებულია, რომ მარტივი მოთხოვნილებები შეიძლება მაღალ მოთხოვნილებებად გარდაიქმნას. მაგალითად, მკვლევარებმა განსაზღვრეს ბავშვობაში პიგიენური მოთხოვნილებების ჩამოყალიბების ორი შემდეგი პიროვნების მორალური „პუპაყის" წინააღმდეგ მიმართული სოციალური განწყობების შემოშავებაში. დადგენილია ისიც, რომ ქცევის, მაგალითად შრომითი საქმიანობის შესრულება, რომელიც თავდაპირველად რაიმე გარეგანი მოტივის საფუძველზე ხდებოდა (შემდეგში მისი მრავალჯერ განმეორებელების შედეგად), შეიძლება თვით იქცეს ვითხოვნილებად, ე. ი. შრომა იქცეს მოთხოვნილებად (მოქმედებს ე. წ. მოტივთა „ფუნქციონალური ავტონომიის კანონი"). დადგენილია სხვა ხასიათის კანონზომიერებებიც, რომლებიც მოთხოვნილებათა და მოტივთა შემუშავების პედაგოგიური მართვის შესაძლებლობას მოწმობს.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ვითარებაში სინამდვილისადმი ადამიანის ცალმხრივი, ტექნიკური დამოკიდებულების განვითარების საფრთხე იზრდება. ამასთან დაკავშირებულია ადამიანთა შეგნებაში პრაგმატული, მერკანტილური, უტილიტარული ტენდენციების განვითარება, სინამდვილისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და სხვ. ეს მარტივ ხელსაყრელი ბაზაა ადამიანთა საქმიანობაში კერძომესაკუთრული ტენდენციების განვითარებისათვის, ამიტომაც, დღეს აქტუალურად დგას საკითხი გამოვიყენოთ სოციალისტური საზოგადოების უპირატესობანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამ ზოგიერთი უარყოფითი გავლენის დასაძლევად.

სკკპ XXV ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ჩვენ ბევრს მივაღწიეთ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ჩვენ კვლავაც თანმიმდევრულად გადავწყვეტთ ამ ამოცანას. მაგრამ საჭიროა, რომ მატერიალურ შესაძლებლობათა ზრდასთან ერთად განმწყობილად მაღლდებოდეს ხალხის იდეურ-ზნეობრივი და კულტურული დონე, თორემ ჭკვა მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივებთან გვექნება საქმე. ეს არ უნდა გაოგვერჩეს". ეს არის დღეს ჩვენი უპირველესი საზრუნავიც.

ა. ფრანგიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

შენი ადგილი შრომის პროცესში

კერძომესაკუთრულ ტენდენციათა დაძლევის გზების ზოგიერთი ფსიქოლოგიური ასპექტი

საკუთრული ტენდენციების დაძლევის რეალური გზების განსაზღვრის მეცნიერული საფუძვლების დამუშავება უთუოდ ფსიქოლოგიური პრობლემაც არის.

კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლა, ბრძოლა ადამიანთა შეგნებაში კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ — ეს არის ბრძოლა აგრეთვე იმის დასაძლევად, რაც აოატკივებს და აუბრალოებს ადამიანის სულიერ ცხოვრებას.

რა არის ძირითადად, განვითარებული სოციალიზმის პირობებში კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის რეალური გზების განსაზღვრის მეცნიერული საფუძვლების ფსიქოლოგიური ასპექტი?

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. შევარდნაძე აღნიშნავდა: „წარსულის ყველაზე გამძლე გადმონაშთია კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია და მორალი". სოციალისტური საზოგადოების ამ ანტაპოდური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას არ ეშინება წარმატება, — ხაზს უსვამს ამხ. ე. შევარდნაძე, თუ „ვერ დავეუფლეთ იმის ხელოვნებასა და მეცნიერებას, რომ გავლენა მოვახდინოთ შეგნებისაკენ მიმავალ ყოველ სოციალურ ნერვზე და ამის საფუძველზე გავლენა ვერ მოვახდინეთ მის შეგნებაზე". ამრიგად, სოციალიზმის პირობებში ნეგატიური მოვლენების დაძლევის გზების ეფექტიანობის ფსიქოლოგიური კანონზომიერებები — ეს უწინარეს ყოვლისა, ადამიანის პიროვნებაზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური კანონზომიერებებია. მაშასადამე, გასარკვევია ფსიქოლოგიური საკითხი: რაში მდგომარეობს პიროვნებაზე ზემოქმედების გზების ფსიქოლოგიური არსი?

პიროვნებაზე ზემოქმედების საშუალებებზე მსჯელობისას ძირითადად იგულისხმება პიროვნების შეგნების გარკვეული მიმართულებით ჩამოყალიბება.

შეგნება, უწინარეს ყოვლისა, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების უზოგადესი კანონების შემეცნებაშია, მის დაუფლებაში მდგომარეობს. იდეალისტური მოძღვრება არ ცნობს, რომ შეგნება დამოკიდებულია ყოფიერებაზე, რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. მარქსისტი მატერიალისტი მკვლევარები კი ადამიანის შეგნებას არა მარტო მისი შემეცნებითი აქტივობისაგან, არამედ მთელი მისი რეალური ურთიერთობებისაგან, მისი ყოფიერებისაგან წარმოებულს განიხილავენ.

შეგნება, როგორც ცოდნა, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა, ხშირად არ იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ დაძლეულ იქნას ადამიანთა ქცევაში ნეგატიური ტენდენციები.

საბჭოთა ფსიქოლოგებმა ექსპერიმენტულად დაადგინეს, რომ შეგნებას ცოდნის მომენტის გარდა სხვა ხარვეზიც აქვს: შეგნება არის, ამასთან ერთად, ცოდნით მიღებულის მიმართ პიროვნების განწყობა, დამოკიდებულება. საქმე ის არის, რომ „შეცნობილმა" და „გაგებულმა" უნდა შეიძინოს კიდევ როგორც იტყვიან, პიროვნებისათვის ამ ცოდნის მიღების „სუბიექტური აზრი", „სუბიექტური ღირებულება". ა. ლეონტიევი ამ განსხვავებას „მნიშვნელობისა" და „აზრის" ტერმინების საშუალებით გამოხატავს, ტერმინი (მნიშვნელობა) გააზრებული ფორმა როგორც ობიექტური ცოდნის შინაარსი. (მაგალითად, კომუნისტური მორალის კოდექსის ცოდნა), გასათვალისწინებელი არის, რომ კომუნისტური ზნეობის, მორალური კოდექსის ცოდნას ერისათვის კომუნისტური პრინციპების განხორციელების „სუბიექტური აზრი" შეიძლება ჰქონდეს, მეორისთვის კი იგი (ცოდნა) ამის საწინააღმდეგო „სუბიექტური აზრის" მატარებელი იყოს.

ამრიგად, „ცნობილი" და „გაგებული" ერთ შემთხვევაში შეიძლება რეალურად მართავდეს ინდივიდის საქმიანობას, სხვებისათვის კი ის შეიძლება დარჩეს მხოლოდ სტაყიერ ცოდნად, რომელიც სრულიად არ განსაზღვრავს მათ საქმიანობას.

პარტიის XXV ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვეხვდებიან ადამიანები, რომლებმაც იციან ჩვენი პოლიტიკა და ჩვენი პრინციპები, მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის არ იქცევენ მათ, არ იბრძვიან მათი განხორციელებისათვის". სტაყანოვ-ფენომენებს ბევრი ადამიანი, ეგოიზმის და სხვა ანალოგიური ყალბ საფუძველზე აგებული ოჯახური აღზრდის გამო, რომ თვალერძა ორიენტაციის მოზარდებს მაინც ვხვდებით სასკოლო სწავლების ადრეულ საფეხურზე — V-VI კლასებში. ეს ვითარება გვავალებს, რომ ავამაღლოთ მშობელთა პედაგოგიური განათლების დონე მშობელთა უნივერსიტეტებში, და სკოლიოზულად მოვიკიდოთ მშობელთათვის პედაგოგიური ბიბლიოთეკის სერიის გამოცემის საქმეს.

ოჯახური აღზრდის წარმატება ბავშვის საზოგადოებრივი მიმართულების განვითარების საქმეში ბევრადაა დამოკიდებული მშობლების ავტორიტეტზე. მაკარენკოს აზრით, მშობლის ეს ფენომენი ავტორიტეტთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც იგი მშობლის მიერ საზოგადოებრივ ფასეულობად შექმნილა, მის დამსახურებულ საზოგადოებრივ მდგომარეობას, მის კეთილსინდისიერ შრომას, მოქალაქეობრივ სახეს ეყრდნობა.

ლ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში შესრულებული გამოკვლევების მიხედვით ბავშვის მიერ მშობლის ავტორიტეტის აღიარების მოტივების ორი ძირითადი კატეგორია არსებობს: სუბიექტური და ობიექტური. მშობლის ავტორიტეტის სუბიექტური ხასიათის მოტივაციისას ბავშვისა და მოზარდისათვის ამოსავალი პოზიცია არის მხოლოდ მისი პირადი „მე", ავტორიტეტიდან გამომდინარე საწყისის, მის პიროვნებასთან დამოკიდებულების ხასიათი. ამ შემთხვევაში მშობლის ავტორიტეტს ბავშვი და მოზარდი აღიარებს პრინციპებით: „მე ვუყვარდარ", „მამაჩემი ჩემზე ზრუნავს". მის შეგნებაში ყველაფერი მხოლოდ მის პერსონაჟთან, „მე„-სთან მიმართებაში იძენს ღირებულებას.

სულ სხვა ვითარებაა, როდესაც ბავშვის თვალში მშობლის ავტორიტეტი მისი მოღვაწეობის საზოგადოებრივ ღირებულებაზე, კეთილსინდისიერი შრომის საზოგადოებრივ აღიარებაზე, მის სოციალურ აქტივობაზეა აგებული. ამ შემთხვევაში სულ სხვა ღირებულებითი ორიენტაციის მქონე პიროვნების ჩამოყალიბების ნიადაგი იქმნება. ასეთი ავტორიტეტის გარემოცვაში ხელსაყრელი ნიადაგია შექმნილი ისეთი პიროვნების აღზრდისათვის, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების საკეთილდღეოდ მიმართული თავდადებული შრომისაკენ, კოლექტიური ღირებულებისაკენ.

ყველაფერი ზემოთქმული იმას მოწმობს, რომ სკოლას მოზარდში ოჯახური აღზრდის მანკიერებით შექმნილი ისეთი არაჯანსაღი მოტივებისა და მოთხოვნილებების დაძლევა უნდება, რომლებიც პოტენციურად ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს ნეგატიური ტენდენციების განვითარებისათვის ინდივიდის საქმიანობაში. ამის აღმოსაფხვრელად კი სკოლა სისტემატურად უნდა იბრძოდეს.

ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაცემები იმას მოწმობს, რომ მოთხოვნილებებისა და მოტივების ჩამოყალიბება გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. კერძოდ, დადასტურებულია, რომ მარტივი მოთხოვნილებები შეიძლება მაღალ მოთხოვნილებებად გარდაიქმნას. მაგალითად, მკვლევარებმა განსაზღვრეს ბავშვობაში პიგიენური მოთხოვნილებების ჩამოყალიბების ორი შემდეგი პიროვნების მორალური „პუპაყის" წინააღმდეგ მიმართული სოციალური განწყობების შემოშავებაში. დადგენილია ისიც, რომ ქცევის, მაგალითად შრომითი საქმიანობის შესრულება, რომელიც თავდაპირველად რაიმე გარეგანი მოტივის საფუძველზე ხდებოდა (შემდეგში მისი მრავალჯერ განმეორებელების შედეგად), შეიძლება თვით იქცეს ვითხოვნილებად, ე. ი. შრომა იქცეს მოთხოვნილებად (მოქმედებს ე. წ. მოტივთა „ფუნქციონალური ავტონომიის კანონი"). დადგენილია სხვა ხასიათის კანონზომიერებებიც, რომლებიც მოთხოვნილებათა და მოტივთა შემუშავების პედაგოგიური მართვის შესაძლებლობას მოწმობს.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ვითარებაში სინამდვილისადმი ადამიანის ცალმხრივი, ტექნიკური დამოკიდებულების განვითარების საფრთხე იზრდება. ამასთან დაკავშირებულია ადამიანთა შეგნებაში პრაგმატული, მერკანტილური, უტილიტარული ტენდენციების განვითარება, სინამდვილისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და სხვ. ეს მარტივ ხელსაყრელი ბაზაა ადამიანთა საქმიანობაში კერძომესაკუთრული ტენდენციების განვითარებისათვის, ამიტომაც, დღეს აქტუალურად დგას საკითხი გამოვიყენოთ სოციალისტური საზოგადოების უპირატესობანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამ ზოგიერთი უარყოფითი გავლენის დასაძლევად.

სკკპ XXV ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ჩვენ ბევრს მივაღწიეთ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ჩვენ კვლავაც თანმიმდევრულად გადავწყვეტთ ამ ამოცანას. მაგრამ საჭიროა, რომ მატერიალურ შესაძლებლობათა ზრდასთან ერთად განმწყობილად მაღლდებოდეს ხალხის იდეურ-ზნეობრივი და კულტურული დონე, თორემ ჭკვა მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივებთან გვექნება საქმე. ეს არ უნდა გაოგვერჩეს". ეს არის დღეს ჩვენი უპირველესი საზრუნავიც.

ა. ფრანგიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ავღანეთის მთავრობის ღონისძიებანი

ქაბული. 10 მარტი, აქ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის ბაბრაკ ქარმალის თავმჯდომარეობით გაიმართა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა. სხდომაზე განიხილეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საკითხები.

აპრილის რევოლუციის ახალი ეტაპის გენერალური ხაზის, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გეგმების შესაბამისად გათვალისწინებულია აშენდეს და შეკეთდეს გზები, რწყვის, კავშირგაბმულობის სისტემები, აღდგეს ადგილობრივი მრეწველობა იქ, სადაც იგი მოიშალა. ხორციელდება შეღავათიან პირობებში წარმოების საშუალებებითა და იარაღით, თესლით ბლეზოთა უზრუნველყოფის ღონისძიებანი და სხვა.

ქ. მარშეს გამოსვლა

პარიზი, 10 მარტი. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჟორჟ მარშემ დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების ზეგაჩვენებინ ნატოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მთელ რიგ დასავლეთევროპულ ქვეყნებში ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების შესახებ და კარტერის აღმინისტრაციის ცდები, რომ ავღანეთის ამბების საბაბით მიაღწიოს მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტს.

„ევროპა-1" რადიოსადგურის პროგრამით გამოსვლისას მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სრულიად სამართლიანად მიაჩნია საბჭოთა კავშირის მოქმედება, რომელიც ავღანეთს დახმარებას უწევს ამ ქვეყნის ხელმძღვანელობა თხოვნით, და იქ შექმნილი მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა იმათ, ვინც ცდილობს არ დაუშვას, რომ ხალხებმა აირჩიონ განვითარების პროგრესული გზა.

ავღანეთის საშინაო საქმეებში უცხოეთის განუწყვეტელი ჩარევის პირობებში, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების ეგიდით ახორციელებენ პაკისტანი და ამ რეგიონის სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები, თქვა ჟ. მარშემ, ავღანეთის მთავრობას იმის საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა, რომ დახმარება ითხოვა სსრ კავშირისათვის, რათა მოეგერიებინა აგრესია. ამასთან იგი ეყრდნობოდა ორი ქვეყნის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

განა უცნაური არ იქნებოდა, საბჭოთა კავშირი შერიგებოდა იმას, რომ ამერიკის იმპერიალიზმი ხელს უშლიდეს ხალხებს პროგრესული რეჟიმების დამყარებაში, და ამავე დროს თვალი აერიდებინა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ჩარევისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ჟ. მარშემ.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ფრანგ კომუნისტებს გადაწყვეტილი აქვთ ქვეყანაში აამენონ სოციალიზმი. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას პროგრესული გარდაქმნებისათვის, რომლებიც საჭიროა, რათა საფრანგეთმა თავი დააღწიოს ეკონომიკურ კრიზისს.

მინისტრის ვოიაჟი

მანილა, 11 მარტი დღეს ფილიპინებში ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ხუან ხუა, რომელიც იწყებს მოგზაურობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის მთელ რიგ ქვეყნებში. მანილიდან იგი გაემგზავრება მალაიზიასა და სინგაპურში.

მანილელ მეთვალყურეებს მიაჩნიათ, რომ ხუან ხუას მოგზაურობა მორიგი ეტაპია პეკინის მასირებული ზემოქმედებისა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის წევრებზე იმ მიზნით, რომ ისინი მოაქციოს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მიერ მოწონებული და სანქციონირებული ჩინეთის დიდმპყრობელური ჰეგემონისტური სტრატეგიის კალაპოტში.

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

თეირანი, 10 მარტი. დღეს აქ გაიმართა ისლამური რევოლუციური საბჭოს სხდომა, რომელზეც აიათოლა ხომეინის თანდასწრებით განიხილეს იმ ამერიკელთა საკითხი, რომლებიც სტუდენტებმა დააკავეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობაში. სხდომის შემდეგ ხომეინის წერილით მმართა და მოუწოდა ირანელ ხალხს განამტკიცოს ეროვნული ერთიანობა. მან აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ყუთბზადემ ჟურნალისტებს აცნობა, რომ სტუდენტებმა წამოაყენეს ორი პირობა, რომელთა შესრულების შემდეგ მძევლებს გადასცემენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს. ჯერ ერთი, მძევლების გადაცემის დროის შესახებ რადიოთი უნდა აცნობონ ხალხს გადაცემამდე 8 საათით ადრე, რათა ეს ამბავი შეიტყოს ყველა ირანელმა, და მეორე, მძევლების გადაცემის მომენტიდან პასუხისმგებლობა მათი სიცოცხლისათვის დაეკისრება იმათ, ვინც მათ გადასცემენ.

ᲕᲘᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲙᲐᲚᲐᲞᲝᲢᲨᲘ ᲓᲒᲔᲑᲐ

ᲡᲐᲜᲐᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

დამასკო, 10 მარტი. როგორც ალეპოდან იუწყებიან, ამ ქალაქში ვითარება ნორმალურ კალაპოტში დგება „მაჰმადიანი ძმების" ორგანიზაციისა და სხვა რეაქციული ძალების მიერ პროვოკაციულად გამოწვეულ არეულობათა შემდეგ.

როგორც სანას საადგილმამო იუწყება, ალეპოში იმყოფება სპეციალური კომისია, რომელსაც მეთაურობს არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილე ა. ალ-აჰმარი. კომისია ინტენსიურ კონტაქტებს ამყარებს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან.

ეროვნული პროგრესული ფრონტის ალეპოს განყოფილებამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელსაც ხელს აწერს ფრონტში შემავალი ყველა პარტია, მათ შორის სირიის კომუნისტური პარტია. თუმცა რეაქცია ცდილობს ქვეყანაში რელიგიური თემთაშორისი შფოთი ჩამოაგდოს, ნათქვამია განცხადებაში, მაგრამ მოქალაქეებმა დროულად შეიგნეს, რომ მისი ხელყოფის ობიექტი გახდა არა მარტო პროგრესულ-პატრიოტული რეჟიმი, არამედ ყველა სოციალურ-ეკონომიკური მონაპოვარი, რომლებსაც დამოუკიდებლობის წლებში მიაღწია ხალხის მასებმა. ამ შეთქმულების კვალს მივყავართ ამერიკის და ისრაელის სპეციალმახსოვრებთან, რომლებმაც ადგილობრივი რეაქციის სახით მოკავშირე იპოვეს.

ეროვნული პროგრესული ფრონტის პარტიებმა მოქალაქეებს მოუწოდეს შეინარჩუნონ სიფხიზლე და საკადრისი პასუხი გასცენ ყველა ანტისაზოგადოებრივ აქციას.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲕᲝᲘᲐᲟᲘ

მანილა, 11 მარტი დღეს ფილიპინებში ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ხუან ხუა, რომელიც იწყებს მოგზაურობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის მთელ რიგ ქვეყნებში. მანილიდან იგი გაემგზავრება მალაიზიასა და სინგაპურში.

მანილელ მეთვალყურეებს მიაჩნიათ, რომ ხუან ხუას მოგზაურობა მორიგი ეტაპია პეკინის მასირებული ზემოქმედებისა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის წევრებზე იმ მიზნით, რომ ისინი მოაქციოს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მიერ მოწონებული და სანქციონირებული ჩ

დიდ სამამულო ომში გამარჯვების 35-ე წლისთავი

არ დაიჯერეთ, რომ აღარა ვართ!..

ფრონტელ მეგობართა წერილები ◆ მისამართი: საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან

„ჩვენი გამარჯვება კაცობრიობის ისტორიის მაღალი მწვერვალია. მან გვიჩვენა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სიდიადე, გვიჩვენა საბ-მუნისტური იდეების ძლევამოსილება, თავდადებისა და გმირობის გასაოცარი ნიმუშები — ყოველივე ეს უეჭველად ასეა, მაგრამ დაე იუოს მუვიდობა, რადგან იგი ძალზე სასურველია ჩვენ-ჯოთა ადამიანებს, და საერთოდ ჯეუნად ყველა პატიოსან ადამიანს.

ლ. ი. ბრეჟნევი.

ახლოვდება სახალხო ზეიმი — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების 35-ე წლისთავი. „კომუნისტის“ რედაქციის სახელზე ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მრავალი წერილი მოდის. ფრონტელი მეგობრები არ ივიწყებენ ერთმანეთს, იხსენებენ ერთად გადატანილ სამკვდრ-სასიცოცხლო ბრძოლებს, სისხლით ნაწრთობი ძმობა ხომ მარადიული და დაუვიწყარია.

იმ ქარცეცხლიან დღეებში დამეგობრებულმა ადამიანებმა ეს დიდი გრძნობა წლების მანძილზე სასოებით გამოატარეს და დღესაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან. ქვემოთ გამოქვეყნებულ წერილებში, რომლებსაც ერთად მოვუყარეთ თავი და ამ სახით პირველად ვბეჭდავთ, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები გვწერენ ქართველ მებრძოლებზე, მათ თავდადებასა და გმირობაზე.

რედაქცია ამ გვერდით იწყებს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დამთავრების 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მასალების ბეჭდვას და ჩვენს მკითხველებს გაზეთში თანამშრომლობისათვის მოუწოდებს.

თავგანწირვა

მინდა სახელოვანი ვაუკაცის ყორა ვახანიას თავგანწირვის ამბავი გიამბოთ.

ეს მოხდა 1943 წლის გაზაფხულზე. ჩვენი 318-ე დივიზიის 1331-ე პოლკი ნოვოროსიისკის მახლობლად იდგა. ხელმძღვანელობას სასწრაფოდ სჭირდებოდა ცნობები მტრის მდგომარეობის შესახებ. პოლკის უფროსის ბრძანებით, მზვერავთა ერთი ჯგუფი მტრის ზურგში გავემართეთ ფერმანელთა „მოენის“ მოსაყვანად.

დავალება წარმატებით შეასრულეთ. ის-ის იყო უკან ვბრუნდებოდით, რომ მტრის გარემოცვაში მოვხვედით, მძიმე ბრძოლა მოგვიხდა. მტერმა ნადმსატყორცნის ცეცხლი დაგვშინა. ჩვენგან ბევრი დაიღუპა. საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

მაშინ ყორა ვახანია, მტრის ყურადღების გასაფანტავად, ოციოდე მეტრზე გახოხდა იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიყავით, და სულ სხვა მხრიდან აუტეხა ტყვიამფრქვევის სროლა მოწინააღმდეგეებს.

ფაშისტებმა სასწრაფოდ შეუცვალეს ცეცხლს მიმართულება და ვახანიას მხარეს მიმართეს. ამასობაში ჩვენ სასწრაფოდ გავეცალეთ სახიფათო ადგილს და ნაწილში მშვიდობით დავბრუნდით.

დავალება შეავასრულეთ.

ყორა ვახანიამ კარგად იცოდა, რომ გარდუვალი სიკვდილი ელოდა, რომ ერთი კაცი მტრის დიდ ძალასთან ვერაფერს გაიწყობდა, მაგრამ ამხანაგების გადარჩენისათვის თავი არ დაზოგა...

ყორა ვახანია ცემენტის ქარხნის „ოქტიაბრის“ მახლობლად მდებარე სახაფლაოზე დავკრძალეთ.

მის ნათელ სახელს ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ.

პ. ბაბინი,
სტავროპოლის მხარე, ბლაგოდარნენის რაიონი.
სტავროპოლის საბჭოთა მეურნეობა.

უფლისაშვილის გმირობა

1942 წლის თებერვალი იყო. 376-ე სატყვიამფრქვევო-საარტილერიო ბატალიონი ქ. დონის როსტოვის განსაპირას ყალიბდებოდა. მარტის ბამდეგს იმ ქვეგანაყოფის მეთაურობა მომანდეს, რომელიც ახალი იარაღის—ტანკსაწინააღმდეგო თოფების ხმარებას სწავლობდა.

ჩემს ქვეგანაყოფში ორი ქართველი ირიცხებოდა, გიორგი უფლისაშვილი და მიხო, (მისი გვარი, სამწუხაროდ, არ მახსოვს). ორივე მამაცი, გამბედავი ჭაბუკი იყო.

უფლისაშვილი ოცეულებს შორის მეკავშირედ დაინიშნა, მიხო კი ტანკსაწინააღმდეგო იარაღის ნომერ პირველი მსროლელი იყო.

გაზაფხულის დადგომა გაჭიანურდა. უგზოობის გამო სურსათის რიტმული მომარაგება დაირღვა, მაგრამ მეომრები სულით არ დაცემულან. უფლისაშვილი ახერხებდა ხოლმე დასახლებულ პუნქტ . ჩალტირში ჩასვლას, სადაც მოსახლეობა სურსათს აძლევდა, რომელიც ჩვენთან მოჰქონდა.

მალე უფლისაშვილმა კარგად აითვისა ახალი იარაღი და მას ეფრეიტორის წოდება მიანიჭეს.

ჩვენს თავდაცვითს ხაზზე ზშირად თავს გვესხმოდა მტრის ავიაცია და გვბომბავდა. ერთ-ერთი თავდასხმის დროს უფლისაშვილი მიხოს საცეცხლე წერტილთან იყო. მან ტანკსაწინააღმდეგო თოფი აიღო და თვითმფრინავებს სროლა აუტეხა, ერთი მათგანი კიდეკაც ჩამოაგდო.

1942 წლის ივლისის მეორე ნახევრის ერთ ღილას მოწინააღმდეგის ავიაცია თავს დაგვესხა და ბომბები დაგვიშინა. ამ საჰაერო თავდასხმის დროს დაიღუპა უფლისაშვილის თანამემამული მიხო, მაშინ გიორგიმ ფიცი დადო, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებდა და მტერს სამაგიეროს მიუზღავდა.

საჰაერო დაბომბვის შემდეგ, შეტევაზე ტანკები გადმოვიდნენ. ჩვენს საცეცხლე წერტილებს წინ რუ ჩამოუდიოდა, რომელზეც პატარა ხიდი იყო გადებული. ჩვენ მიზანში გვყავდა ამოღებული მოწინააღმდეგის ტანკები. გამოჩნდა პირველი აალებული ტანკი, რამაც ძალა შეგვმატა. უფლისაშვილი, რომელიც არტოვებდა ასეულის სათვალთვალო პუნქტს, ცეცხლს უშენდა ტანკებს. მან ორი ტანკი გამოიყვანა მწყობრიდან, მათი ეკიპაჟის განადგურება კი მე მომიხდა, რადგან უფლისაშვილის ნომერი მეორე მსროლელი ტყვიას გაეგმირა.

მეზობელ უბანზე გერმანელთა ტანკებმა თავდაცვა გაარღვიეს და ზურგიდან შემოგვიარეს. თან გზადაგზა ბატალიონის საცეცხლე წერტილებს ანადგურებდნენ.

ნაშუადღევს მტერმა ჩვენი ბატალიონი თითქმის გაანადგურა. გადარჩენილი მეომრები ავგანგწირვით იბრძოდნენ და ცეცხლს უშენდნენ მოწინააღმდეგის ჯავშნოსან ავტომანქანებს, რომლებიც გერმანელთა ტანკებს მოჰყვებოდნენ.

საკომანდო პუნქტიდან უკან დახევის ბრძანება მივიღე, მაგრამ უკან დასახევი გზა არსად იყო. გარშემო გერმანელთა ტანკები და ავტომანქანები გვერტყა, გამოჩნდა ფაშისტთა ქვეითი ჯარიც. კრიზისულ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ.

უფროსმა სერჟანტმა ტარასკინმა გადარჩენილი მებრძოლები ერთად შეკრიბა. ვფიქრობდით, როგორ გამოგვეყვანა ბრძოლის ველიდან დაჭრილები, რომელთა შორის იგორგი უფლისაშვილიც იყო. მს ტყვია ორივე ფეხში მოხვედოოდა. გიორგიმ ხელით გამოყვანაზე უარი გვითხრა, რადგან იქიდან თავს ვერავინ დაავწევდით. ამიტომ ამჯობინა მისთვის ავტომატი დაგვეტოვებინა, რომ მტრისაგან დაგეფარეთ. მასთან ერთად ასევე მძიმედ დაჭრილი ორი მებრძოლიც დარჩა.

და სანამ ჩვენ, იარაღით დატვირთულნი, ჩალტირისაკენ მიმავალ ლერწმით დაფარულ სანაპიროს მივყვებოდით, კიდევ გვესმოდა მამაცი მებრძოლების ავტომატის ჯერის ხმა.

გავიდა ხანი, გიორგი უფლისაშვილის არაფერი მსმენია, იქნებ, რაღაც მანქანებით გადაურჩა იმ საბედისწერო დღეს...

მისი გმირობა ჩვენთვის მარად დაუვიწყარი იქნება.

ს. ტროფიმოვი.
ვორონეჟის ოლქი, ქ. ბოგუჩარი.

ეშხვედრა ჰოსპიტალში

სტანკო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1944 წლის გაზაფხულზე ბელორუსიის მესამე ფრონტზე მოვხვედი. ჩავირიცხე 29-31-ე სატანკო ჯრიგადებში.

ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ, შესვენებისას, ამხანაგმა საფრონტო გაზეთი გამომიწოდა. პირველ გვერდზე ჩემი ყორადღება ოფიცრის ფოტოსურათმა მიიპყრო, იქვე ეწერა: „კაპიტან ჯიქიას მსროლელი ბატალიონი ბორისოვოს რაიონის ოელტენეხილთან ორი დღეკ-ღამის განმავლობაში ოგერიებდა მტრის გაძლიერებულ იერიშებს. მალე მაშვილი რაზმიც მოვიდა, მათ შეძლეს ოელტენეხილის დაკავება და გაანგრევეს შემდგომი შეტევითი ბრძოლები“.

მალე დაიწყო ჩვენი მეკავშირეობელი ნაწილების ბრძოლები ლიტვის რაიონში, კაუნასია მიმართულებით. საფრონტო გაზეთში კვლავ ამოვიკითხე კაპიტან ჯიქიას გმირობის ამბავი. მსროლელი ბატალიონი მისი ხელმძღვანელობით კვლავაც მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტრის ძლიერ დაჯგუფებას.

1944 წლის ივლისი იყო. სატანკო ბატალიონის უფროსმა გამომიძახა და დამავალა ჩამებარებინა გაძლიერებული ოცეულიდ და წაგულიყავი დასახლებული პუნქტის ჯასლოის მიმართულებით. თანაც მითხრა, სოფლის ახლოს, რკინიგზის სადგურთან მსროლელ ბატალიონს მტრის დიდ ძალებთან უხდება ბრძოლა და ჩვენი სატანკო ნაწილების დახმარება სჭირდებაო.



სათანადო მომზადების შემდეგ დანიშნული ადგილისაკენ გავემართეთ, დათქმულ დროზე მსროლელი ბატალიონის განკარგულებაში მივედით. მალე ჩემთან უფროსი ლეიტენანტი მოვიდა და მითხრა, რომ ბატალიონის უფროს ჯიქიასაგან იყო გამოგზავნილი და მაცნობა, შეიარაღ დღეს როდის და რა მიმართულებით უნდა დაგვიწყო შეტევა.

როგორც კი ინათა ბატალიონის ფლანგებიდან ჰაერში ორი რაკეტა ავარდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ არტილერიის დაკვეთი ჩვენი ტანკები შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ. მომდევნო რაკეტის სიგნალზე ტანკები უკვე დიდი სისწრაფით მიქროდნენ მოწინააღმდეგის ზურგში. უკან დარჩა დასახლებული პუნქტი და რკინიგზის სადგური ჯასლოი. დავალება შესრულდა. ჩვენ ამ ბრძოლაში ორი ტანკი დავკარგეთ.

მე ღრმად მწამდა და მიხაროდა, რომ კაპიტან ჯიქიას შევხვდებოდი და პირადად მივულოცავდი გამარჯვებას.

მივუფახლოვდი თუ არა შტაბს, მსროლელი ბატალიონის უფროსი ვიკითხე. მალე ნახევრად დაგრეული შენობიდან ნაცნობი ლეიტენანტი გამოვიდა და მითხრა: ბატალიონის უფროსის მოვალეობას დროებით მე ვასრულებ, კაპიტანი ჯიქია კი მძიმედ დაიჭრა და ორი საათის წინ სამედიცინო სანიტარიულ ბატალიონში წაიყვანეს. თან დასძინა, კაპიტანმა მთხოვა დახმარების გამო თქვენთვის დიდი მადლობა გადმომეცაო.

ივლისის დამლევს ჩემი ოცეული დაბვერჯაზე გავგზავნეს. ფაშისტებთან შეტაკებისას ჩემი ტანკი მწყობრიდან გამოვიდა და მე მძიმედ დავიჭირი, სამკურნალოდ ზურგში გადამიყვანეს.

როგორი იყო ჩემი გოცება, როცა იმ პალატაში, სადაც მე მომათავსეს, ჩემი საწოლის გვერდით ქართველი კაპიტანი ჯიქია იწვა. იგი მძიმედ იყო დაჭრილი. ჩვენ ახლო გავიცანით ერთმანეთი, დავიგობრდეთ. მას გვერ ერქვა. იგი მეტად განათლებული, ერთი შეხედვით თითქოს მკაცრი, მაგრამ მეტად გულკეთილი კაცი იყო. თავის თავზე ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. როგორც შევიტყე, წარმოშობით ფყალტუბოელი იყო, ჰყავდა დედ-მამა და ორი ძმა.

ჰოსპიტალში მე და გვერ ჯიქიამ თითქმის ოთხ თვეს დავყავით. შემდეგ გვიან ჭრილობა გაეხსნა და იგი მოსკოვში გაგზავნეს სამკურნალოდ.

ამის შემდეგ აღარ ვიცი, როგორ წარიმართა მისი ცხოვრება.

მინდა გვერ ჯიქიას ახლობლებმა იცოდნენ, როგორი გმირი და თავდადებული პატრიოტი იყო ეს ვაჟკაცი.

ნ. ხარჩენკო.
სტავროპოლი.

კლაიპედის ცაზე

ვილნიუსის 87-ე საშუალო სკოლის კვალმაძიებლები დიდხანს აგროვებდნენ მასალებს ლიტვის განთავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებზე. ასე შეკრიბეს მათ ცნობები პოდპოლკოვნიკ ავთანდილ დავითის ძე ჯაფარიძეზე, რომელიც ბალტიის საზღვაო ფლოტის მე-9 ავიაგამანადგურებელთა პოლკს მეთაურობდა. ამ პოლკმა დიდი როლი შეასრულა გერმანელი ფაშისტებისაგან ლიტვის სანაპიროს განთავისუფლების საქმეში. კერძოდ, კლაიპედისათვის ბრძოლაში.

ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მე-9 ავიაგამანადგურებელ თ პოლკს კლაიპედის საპატიო წოდება მიენიჭა, პოლკის მეთაურმა ა. ჯაფარიძემ კი უშიკოვის სახელობის II ხარისხის ორდენი დაიმსახურა.

ა. ჯაფარიძე 1959 წელს გარდაიცვალა რიგაში.

პ. ფროლოვი,
ლიტვის სსრ დამსახურებული მასწავლებელი, სამამულო ომის ვეტერანი.
ვილნიუსი.

სტალინგრადი. გამარჯვების დროშა დაღუპულ მეომართა მოედანზე.

სად ხარ, ვანო!

გზერთ სამედიცინო სამსახურის ყოფილი მედდა ლუბა ვორობიოვა. მინდა შევიტყო, როგორ წარიმართა ვანო ბეჟუაშვილის ცხოვრება. მე და ვანო ერთ სანიტარიულ ნაწილში ვმსახურობდით. იგი ჩვენი ქვეგანაყოფის მძღოლი იყო.

დღესაც მაოცებს, როგორ ახერხებდა ვანო დაბომბვის დროს, როცა ირგვლივ ჭურვები სკდებოდა, სანიტარიული მანქანის უსაფრთხოდ მართვას და იმ ჯოჯოხეთიდან დაჭრილების გამოყვანას. ვინ მოთვლის, რამდენი კაცი გადაურჩენია მძღოლის ოსტატობასა და გამბედაობას.

მე შიშის ზარი მიპყრობდა ხოლმე, როცა ვ. ბეჟუაშვილი დიდი სისწრაფით მიაჭროლებდა მანქანას ჭურვებისაგან გათხრილ გზებზე, როგორი გამბედავი და დაუღალავი იყო ქართველი ვაჟკაცი.

როგორც მახსოვს, ვანო ბეჟუაშვილი გურჯაანის რაიონიდან იყო. ჩვენს სანიტარიულ ნაწილში ირიცხებოდნენ ექიმი ა. სოლომკო, ფატიმა ალიევა, მერეუნატ ასმანოვა, ანია ასულხანოვა.

ძალიან მაინტერესებს, როგორ წარიმართა შემდეგ ვანოს ცხოვრება.

ლ. ვორობიოვა.
ბრიანსკი.

ვეძებ მეგობარს

ერთმანეთს 1943 წლის ზამთარში შევხვდით, ორივე ბელორუსიის მეორე ფრონტის 42-ე მსროლელი დივიზიის 69-ე საარტილერიო პოლკში ვმსახურობდით. ილიკო გამრეკელი და მე ტოლები ვიყავით, ისიც 1922 წელს იყო დაბადებული. ეს ბრგე, ლამაზი ვაჟკაცი ყველას უყვარდა.

მინდა გიამბოთ ერთ საბრძოლო ეპიზოდზე, როცა ქართველმა ვაჟკაცმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინა.

ეს ქალაქ ლომჟასთან მოხდა. ჩვენი ბატარეა ქვეით ჯართან ერთად შეტევაზე გადავიდა. წინ ხან ერთ, ხან მეორე ადგილს ფიცხელი ბრძოლები იმართებოდა. მტერი კარგად იყო გამაგრებული და ცეცხლს აგურის სახლებიდან, ძელმიწურებიდან და სხვა თავშესაფრებიდან გვიშენდა. ჩვენი ქვეითი ჯარის შეტევა შეჩერდა, ბევრი დაიღუპა. მაშინ ბატალიონის უფროსმა ი. სამარინმა გვიბრძანა შტრის საცეცხლე წერტილები მოგვესპო.

ილიკოს დაევალა ქვემეხის პირდაპირი დამიზნებით მტრის ძელმიწურები ჩაეხშუბინა.

— ცეცხლი! — გაისმოდა მისი მჭექარე ხმა და ზუსტი დამიზნებით ჭურვები გერმანელთა ძელმიწურებს ეცემოდა. მაგრამ მტერი სხვა თავშესაფრებიდან კვლავ დიდ წინააღმდეგობას გვიწევდა, ქვეით ჯარს წინ წასვლის საშუალებას არ აძლევდა.

— მომყევით! — დაიძახა სერჟანტმა ილიკო გამრეკელმა და წინ წაგვიძღვა. ჩვენ სახლ-სახლ ამოფარებულებს ხელით მივგვჭონდა იარაღი და ასე შევაღწიეთ მტრის ზურგში. იქიდან კი პირდაპირ მოწინააღმდეგის თავშესაფრებს დავცხეთ.

მტერმა წინააღმდეგობა შეწყვიტა, ქვეითი ჯარი შეტევაზე გადავიდა.

საღამოს, როცა ბრძოლები მიწყდა, ჩვენთან პოლკის უფროსი მოვიდა.

— ყოჩაღ არწივებო! — მხიარულად მოგვმართა მან და საბრძოლო ჯილდოებზე წარდგენას დაგვპირდა.

ასე გაჩნდა სერჟანტ ილიკო გამრეკელის მკერდზე მეექვსე ჯილდო, ამჯერად III ხარისხის დიდების ორდენი.

1944 წლის შემოდგომაზე ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დავიჭერი და გამრეკელს დავშორდი. მის შესახებ მეტი არაფერი ვიცი. იქნებ გადაურჩა ომის ქარ-ცეცხლს და მშობლიურ თბილისს დაუბრუნდა, თუ არა და, დაე, მისი ვაჟკაცობის ამბავი იცოდნენ მისმა თანამემამულეებმა და ახლობლებმა.

მ. ზასტოლსკი,
ყაზახეთის სსრ, სოფელი კელტემაშატი.

მამაცი მზვერავი

მე მზვერავთა ასეულის მეთაური ვიყავი. ჩვენი ნაწილი პოლონეთში, სოფელ ნარევის მახლობლად იდგა.

მეკავშირემ მაცნობა: სასწრაფოდ შტაბში გამოცხადდიო. ჩემს ორდინარეცთან, უფროს სერჟანტ შთირიშვილთან ერთად მაშინვე შტაბს მივაშურე.

იქ დამხვდნენ პოლკის უფროსი ი. ბელოვი, შტაბის უფროსი მაიორი ა. ნიკიტინი, მისი თანაშემწე, გვარდიის კაპიტანი ავთანდილ ლოლაშვილი (ასე 28-30 წლის ლამაზი ახალგაზრდა).

პოლკის უფროსმა მითხრა: კაპიტანო, გეევალებათ ხუთი დღის განმავლობაში გერმანელთა „მოენე“ მოგვგვარეთო.

ლოლაშვილმა დასძინა: მხედველობაში მიიღეთ, ტყვე ისეთი უნდა იყოს, რომ მოწინააღმდეგის ჯარების მორალური და მატერიალური მდგომარეობა იცოდესო.

ნარევი დიდი სოფელი იყო, რომელსაც შუაზე ჰყოფდა ამავე სახელწოდების 150-200 მეტრი სიგანის მდინარე. ერთ ნაპირზე ბელორუსიის მე-2 ფრონტის არმიის ნაწილები იდგა, მეორეზე — მოწინააღმდეგისა.

შტაბიდან დაბრუნებისთანავე, ჩვენს ოფიცრებსა და გამოცდილ მზვერავებს ვეთათბირე, როგორ ჩაგვეგდო ხელში „მოენე“.

ორი-სამი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის ნაპირს ვზვერავდით. დავადგინეთ, სად ცხოვრობდნენ და რამდენი იყვნენ გერმანელები, და სამოქმედო გეგმაც შევიმუშავეთ. ყოველივე ეს შტაბში ავთანდილ ლოლაშვილს მოვახსენეთ. მან გეგმა მოგვიწონა და გვითხრა, მეც თქვენთან ერთად წამოვალო. ამ ამბავმა ძალიან გამახარა, რადგან ავთანდილი მეტად გამოცდილი, უშიშარი და მოხერხებული მზვერავი იყო.

27 დეკემბერს დაახლოებით ღამის სამ საათზე სამი ნავით მდინარეში შევცურეთ. ჩვენი გეგმა ასეთი იყო: ხუთი-ექვსი კაცი უშუალოდ „მოენეს“ შეიპყრობდა, რვა-ათი კი მათ დაიცავდა.

..უკუნი ღამე იდგა. წვიმდა. ის იყო მესამე ნავი ნაპირს უახლოვდებოდა, რომ გერმანელთა პატრულმა შეგვნიშნა და განგაში ატეხა.

დრო რომ არ დაგვეკარგა, მაშინვე იმ სახლისაკენ გავიქეცით, სადაც გერმანელები ცხოვრობდნენ. ისინი განგაშის ხმაზე წამომხტარიყვნენ და სწრაფად იცვამდნენ..

მე და ავთანდილი სახლთან სულ ახლოს მიველეთ გერმანული ლაპარაკი გარკვევით ისმოდა. ავთანდილმა გერმანული ენა კარგად იცოდა და მითხრა, ეს ოფიცერია და სწორედ იგი უნდა შევიპყროთო.

ჩვენი დამცველი ჯგუფი წინასწარ შემუშავებული გეგმით მოქმედებდა. მათ გრანატები ესროლეს სახლს და ავტომატის ცეცხლიც მიაყოლეს ფაშისტთა უმრავლესობა დაიხოცა ან დაიჭრა, ცოცხლად ჩავიგდეთ ერთი პრაპორშჩიკი და ჯარისკაცი.

ჩვენი თავდასხმის ამბავი მოწინააღმდეგის ხელმძღვანელობამ მაშინვე შეიტყო, ჰაერში რაკეტები აუშვეს. ირგვლივ დღესავით განათდა, არტილერიის ჭურვები ჩვენს ირგვლივ სკდებოდა.

როგორც იქნა ნაპირს მივაღწიეთ, დავალება შევასრულეთ, მაგრამ ეს ამბავი ძვირად დაგვჯდა. ავთანდილს მტრის ტყვია თავში მოხვდა და იქვე გარდაიცვალა. ჩვენ იგი საკაცეზე დავასვენეთ და შტაბში მივიყვანეთ.

ავთანდილი სოფელ ნარევის მახლობლად დავკრძალეთ. მის საფლავზე ასეთი წარწერა გავაკეთეთ: „აქ განისვენებს გვარდიის კაპიტანი ავთანდილ ლოლაშვილი“.

სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპული გმირის ხსოვნა სამარადისოა!

რ. ბერდიევი.
აუხბაზეთი.

მან მაჩუქა სიცოცხლე

ეს მოხდა 1944 წლის ოქტომბერში. ჩვენი ნაწილი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, კარპატის მთებში, მორავსკა-ოსტრავის მიმართულებით იბრძოდა. მე მაშინ 465-ე მსროლელი პოლკის მეავტომატეთა ერთ-ერთ ასეულს ვმეთაურობდი, რომელიც პირველ გვარდიულ არმიაში შედიოდა.

ჩვენს პოლკში ქართველი ექიმი მსახურობდა, გვარად ქარჩილავა იყო, სახელი კი, სამწუხაროდ, არ მახსოვს. ამ გულისხმიერ კაცთან მკაცრმა მეომრულმა ცხოვრებამ დამაკავშირა.

შემოდგომა იყო და გამუდმებული წვიმების გამო მოძრაობა ჭირდა.

ერთ-ერთი ბრძოლის დამთავრების შემდეგ ჩვენს ბლინდაჟში თავით ფეხამდე გაწუწული ქარჩილავა შემოვიდა. ჩვენც სველი ვიყავით. გადავწყვიტეთ გარეთ გავსულიყავით, კოცონი დაგვენთო და ტანსაცმელი გაგვშრო.

ის იყო ცეცხლს მივუჯექი, რომ ჩემ გვერდით ნაღმი გასკდა და ტალღამ თხრილში გადამაგდო. როგორც კი გონს მოვედი, საშინელი ტკივილი ვიგრძენი, ნაღმის ნამსხვრევი მუცელში მომხვედროდა. იმავე წუთს ჩემთან ქარჩილავა გაჩნდა. მან პირველი დახმარება აღმომიჩინა, ბაგეშვივით ხელში ამიყვანა და თითქმის 200 მეტრზე მატარა, მერე ცხენიან ოთხთვალაზე დამაწვინა და პოლკის სანიტარიულ ნაწილში მიმიყვანა, სადაც მრავალი დაჭრილი იწვა. ამ დროს ბედად სანიტარიული მომსახურების მანქანაც მოვიდა. ქარჩილავამ ოთხთვალიდან პირდაპირ მანქანაში გადამიყვანა, თან სანიტარი გამომყოლა, რომელსაც დაუბარა: ბატალიონის სამედიცინო პუნქტში მისვლისთანავე პირდაპირ საოპერაციოში შეიყვანე, სასწრაფო ოპერაცია სჭირდებაო.

მართლაც, უკვე 40 წუთის შემდეგ საოპერაციო მაგიდაზე ვიწექი. ოპერაციის შემდეგ ქირურგმა მითხრა: ძალიან მძიმე მდგომარეობა გქონდა, ასეთი ჭრილობის დროს ათასში ერთი თუ გადარჩებაო.

ქარჩილავას თავგანწირვისა და ძმური დახმარების წყალობით სიკვდილს გადავრჩი.

დ. ჯულაი.
პიატიგორსკი.

კომუნისტები უკან არ იხევენ!

მიხეილ გეგეშიძე 174-ე მსროლელი ბატალიონის მე-2 ასეულში 1944 წლის დამდეგს მოვიდა. იგი მეტყვიამფრქვევეთა ოცეულის მეთაურად დანიშნეს. მიხეილი ახოვანი, ლამაზი, მხიარული თბილისელი ყმაწვილი იყო. შესანიშნავად მღეროდა და თავისი ხავერდოვანი ხმით გვატკბობდა.

ბატალიონში მისი თანამემამულეც აღმოჩნდა — იროდიონ ვასილის ძე კანანაძე, მეორე მსროლელი ასეულის პოლიტხელმძღვანელი.

1944 წლის შემოდგომაზე საბჭოთა არმიამ ჩვენი სამშობლოს წმინდა ადგილებიდან გააძევა გერმანელი ფაშისტები. ამ პერიოდში არმიის მოქმედი ნაწილების ზურგში თავი წამოყვეს უკრაინელმა ნაციონალისტებმა ბენდერელებმა. ეს ორფეხა ნადირები გულცივად, მხეცურად ანადგურებდნენ გზაზე ყველას და ყველაფერს.

ჩვენს 174-ე მსროლელ ბატალიონს დაევალა გაენადგურებინა ბანდიტები დასავლეთ უკრაინის ტერნოპოლის ოლქში. სწორედ ამ მიმართულებით გავემართეთ და ქალაქ ჩორტკოვოში მდინარის ნაპირზე დავბანაკდით. აქ იყო ჩვენი შტაბი, ჰოსპიტალი და სხვა დამხმარე სამსახურები.

1944 წლის 24 ოქტომბერს ბატალიონის შტაბის უფროსმა მაიორმა დ. პოლიანსკიმ გამოიძახა მეტყვიამფრქვეეეთა ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ი. ტარანი და უმცროსი ლეიტენანტი მ. გეგეშიძე და უთხრა: გვაქვს ცნობა, რომ სოფელ სოროკაში დაბანაკდა ბენდერელთა ერთი ჯგუფი 80-100 კაცის შემადგენლობით. თქვენი ვალია გადაუღობოთ მათ უკან დასახევი გზა და გაანადგუროთო.

წინასწარ შემუშავებული გეგმით, 25 ოქტომბერს, დილის 7 საათზე რაკეტის სიგნალზე მებრძოლთა ერთი ჯგუფი ლეიტენანტ ხაჩატურიანის ხელმძღვანელობით დაიწყებდა ბრძოლას ბანდიტების წინააღმდეგ, რომლებსაც ერთადერთი უკანდასახევი გზა ტყისაკენ ჰქონდათ. აქ კი მ. გეგეშიძის მებრძოლები დაუხვდებოდნენ.

მაგრამ გამოირკვა, რომ სოფელში ბანდიტები გაცილებით მეტი იყვნენ, ვიდრე ეს მზვერავებმა იცოდნენ.

უფროსმა ლეიტენანტმა ტარანმა ამ ამბის შესატყობინებლად გეგეშიძეს მაშინვე მეკავშირე გაუგზავნა და უბრძანა, რომ მტრისა თვის ბრძოლა არ გაემართა. მაგრამ, უკვე გვიან იყო. დეევნილი ბენდერელები იმ ადგილს უახლოვდებოდნენ, სადაც გეგეშიძე ჩასაფრებული იყო. უკან დახევა შეეძლებოდა, ოღონდ ერთი პირობით — ტყვიამფრქვევები უნდა დაეტოვებინათ. მიშამ პატარა წერილი დაწერა და მეკავშირეს მისცა: „კომუნისტები უკან არ იხევენ! მ. გეგეშიძე“.

ბენდერელებმა გზა გადაუღობეს მებრძოლთა იმ ჯგუფს, რომელსაც ტარანი ხელმძღვანელობდა, და ამით დახმარების საშუალება მოუსპეს საფრთხეში ჩავარდნილთ. ასე რომ გეგეშიძის ჯგუფი იძულებული გახდა მარტოდმარტო შებმოდა მტერს. დიდხანს ისმოდა ტყვიამფრქვევების კაკანი.

მეორე დილით, როცა ჩვენი მებრძოლები იმ ადგილას მივიდნენ სადაც გეგეშიძე იბრძოდა, ბენდერელთა დიდი ჯგუფი ნახეს დახოცილი. ტყვიამფრქვევთან გმირულად დაღუპული მ. გეგეშიძე, ალიევი და სხვა მებრძოლები იწვნენ.

იბოვეს მძიმედ დაჭრილი მეკავშირეც, რომელსაც გულის ჯიბეში შენახული ჰქონდა წერილი: „კომუნისტები უკან არ იხევენ! მ. გეგეშიძე“. ეს იყო მისი უკანასკნელი გამოსათხოვარი ბარათი.

ვ. პროხოჟანი.
ქ. ქერჩი.

ყუმბარა არ გასკდა

ვინ მოთვლის, რამდენი მძიმე ბრძოლა გადაუტანია 28-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის 63-ე ბატალიონის უფროსს, გვარდიის კაპიტანს გაბადაძეს (სახელი, სამწუხაროდ, არ მახსოვს). გერმანელ სს-ელთა დივიზია ბევრს ცდილობდა, რომ მურმანსკის რკინიგზის ხაზი ლოუხის სადგურის რაიონში გადაეკვეთა და ამ გზით მოესპო ჩვენთვის მოკავშირეთა დახმარების მიღება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჩვენ შევძელით ლოუხის დაცვა, რისთვისაც „გვარდიელის“ საპატიო წოდება მივიღეთ. მე მაშინ პოლკის მეთაურის თანაშემწე ვიყავი.

იმ პერიოდში გაბადაძის ბატალიონი მთელ დივიზიაში ქუზდა. თვით გენერალმა კოროტკოვმა პირადად გადასცა მას საბრძოლო ჯილდო და ბატალიონის მადლობა. ამ ამბავმა ყველა აღაფრთოვანა.

სახელოვანი ქართველი კაპიტანი ბევრჯერ მძიმედ დაიჭრა, მაგრამ კვლავ თავის ბატალიონს უბრუნდებოდა.

ერთხელ იგი ყუმბარის ნამსხვრევმა დაჭრა და დახმარებისათვის სამედიცინო ბატალიონში მიიყვანეს. ზამთარი იყო, გაბადაძე და სხვა ორი მეთაური კოცონს შემოსხდომოდნენ და თბებოდნენ. უცებ გერმანელთა ყუმბარა პირდაპირ ცეცხლს მოხვდა, შეშა გადაყარა, ნახშირი და ნაპერწკლები ყველას სახეში შეაყარა, მაგრამ იღლაზე არ გასკდა და სამივენი გადარჩნენ.

გაბადაძე სამკურნალოდ ჰოსპიტალში წაიყვანეს, მას შემდეგ მისი არაფერი ვიცით. საინტერესოა, გადაურჩა თუ არა ქართველი გვარდიელი კაპიტანი ომის მძიმე დღეებს.

ი. კონოვალიუკი,
გადამდგარი მაიორი.
ქ. კრასნოდარი.

გვერდი მოამზადა ლარისა ხუბულურმა.

გაფლეხილი აგური და გაუფლეხელი უპასუხისმგებლობა

საყოველთაოდ ცნობილი აგური დღემდე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშენ მასალად რჩება. 1979 წელს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრო ამ მასალით აშენებდა ორი ათასზე მეტ ობიექტს. მარტო საქართველოს სსრ საშენ მასალათა სამინისტროს საწარმოები ამისათვის მას 116 მილიონ ცალ აგურს აწვდიდნენ. იმას, თუ როგორი ხარისხის აგურს მიიღებენ საშენ მოედნებზე, ქალაქთმშენებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აგურის ხარისხზე ხომ ბევრად არის დამოკიდებული მშენებლობის ხარისხიც.

მაგალითად, მეტეხის საკმაოდ მოძველებულ აგურის ქარხანაში, სადაც არცთუ უძველეს ტექნოლოგიურ ხაზს იყენებენ, ყველას გასაკვირად მაგარი, ხარისხოვანი აგური გამოდის, რომელსაც გამოცდილი მშენებლები კარგად იხსენიებენ. თუნდა ასობით კილომეტრზე წაიღე რკინიგზით თუ ავტომანქანით, ტრანსპორტიდან ტრანსპორტზე გადატვირთე, აგური მაინც კარგი ხარისხისა რჩება. შეთხვევითი არ არის, რომ ქარხნის ლაბორატორიაც საამედო თანაშემწეა კოლექტივისა.

სპეციალისტთა წრეში მეტეხის, ისევე როგორც გურჯაანის აგურის ქარხანას, კარგად ახასიათებენ. ამას ვერ იტყვი სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატსა და ზოგიერთ სხვა აგურის ქარხანაზე, რომლებიც საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საშენებლო მოედნებზე დამტვრეული აგურს გზავნიან.

წლეულს, 23 იანვარს აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხანამ ბათუმის № 5 ტრესტს ათი ათასზე მეტი აგური გაუგზავნა, საიდანაც დაახლოებით ათასხუთასი ცალი შუაზე იყო გატეხილი. შარშანდელი წლის დამლევს, მაგალითად, № 4 ტრესტის ო. გოგიშვილის ბრიგადამ ქუთაისში ავტოქარხნის ქუჩაზე 115-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე ნამტვრევების მთელი გროვა მიიღო. ბრიგადირს ვერ გადაეწყვიტა რა ექნა? მიეღო და, ე. ი. არა მარტო ხელი უნდა აეღო სინდის-ნამუსზე, არამედ მოეტყუებინა კიდეც სახლის მომავალი მცხოვრებნი. რეკლამაცია შეიდგინა? მაშინ კომბინატის წარმომადგენელი უნდა მოეწვიათ. ასეა ნათქვამი ინსტრუქციაში. თორემ რეკლამაცია რეკლამაცია აღარ იქნება, მაშინ აგური ნამტვრევებად კი არა, ჩინებულ საშენ მასალად ჩაითვლება და ყოველ ათას ცალში 56 მანეთი უნდა გადაიხადო!

მაგრამ ეს არ აწუხებდა ბრიგადირს. მას ძალზე სურდა კომბინატის „პროდუქცია“ ეჩაბარებინა ამაგი კომბინატის მუშებისათვის, კომუნისტებისათვის, კომკავშირელებისათვის, და ეკითხა მათვის: განა შეიძლება მშენებლობაში ასეთი აგურის გამოყენება? თუ წინათ ბრიგადირი ყურს არ უგდებდა მითქმა-მოთქმას აგურის ქარხნებში წუნისმკეთებლების შესახებ, ახლა დარწმუნდა: მათ ბლომად მოუყრიათ იქ თავი.

— მაინც, რამდენი უვარგისი აგური გამოგიშვიენეს?! — სინდისი ეჭვნიდა მას. — მოცილობის მიხედვით ვერ განსაზღვრავ. ახლა დაგვრჩენია, ნატეხი ნატეხს მივადოთ და ვთვალოთ...

ეს მეზუთე, არა მეტრული, არამედ უფრო ბიოლოგიატიული ანზომილება ბრიგადაში არ აღმოუჩენიათ, გარეიდან მოახვიეს თავს. აგურის ბუღალტერია პირდაპირ რაღაც უბედურად დაატყდათ თავს მშენებლებს. თუ არა გაკვთ წიგნიერი მემონტაჟეები, მეინბავები, ფფეილები, სანტექნიკოსები აგურის დასაანგარიშებლად, ხელი მოაწერეთ მისი მიღების ზედნაღებს და მორჩაო. მხოლოდ ასე თუ აიხსნება კომბინატის ადმინისტრაციის საქციელი.

მაგრამ ბრიგადირმა გამოიანგარიშა. თუმცა დროებით თავი დავანებოთ ქუთაისელ ქალაქთმშენებლებს.

არც რუსთავის სახლთსაშენებელი კომბინატის იმ ბრიგადაშია უკეთ საქმე, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი შ. მოდებაძე ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა საცხოვრებელი სახლს აშენებს ქალაქის 15 მიკრორაიონში. შარშან 11 ოქტომბერს აქაც მიიღეს საგარეჯოს ქარხნის აგურის ნამტვრევები.

როგორც ვხედავთ, უვარგისი აგურის განაწილების გეოგრაფია ფრიად ვრცელია. აქტში, რომელსაც ხელი მოაწერეს სახლთსაშენებელი კომბინატის ოსტატებმა ა. ბერაძემ და ქ. გველესიანმა, ლაბორატორიის უფროსმა მ. დიმიტრაშვილმა და სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების უფროსმა ნ. არჩაძემ, აღნიშნულია: აგურის 40 პროცენტი ნამტვრევებია. ეს ნიშნავს, რომ აგურის მტვრევის დასაშვები ნორმისაზვის თითქმის 10-ჯერ გადაუჭარბებიათ!

— როგორ არ შეეხსენოთ ქარხნის თანამდებობის პირებს,— ამბობს შ. მოდებაძე, — რომ არა მარტო ჩვენი დარგი, არამედ მთელი რესპუბლიკა გადადის პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემაზე, ჩვენ კი ძველად აშკარა წუნს გვიგზავნიან?

იქნებ მოყვანილი მაგალითები იპიზოდური და შემთხვევითია რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა მუშაობაში? ჩვენ გადავწყვიტეთ ობიექტურად შეგვიფასებინა აგურის ქარხნებიდან მშენებლობებზე მიღებული პროდუქციის ხარისხი, რამაც ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის ლაბორატორიის ერთ-ერთი დასკვნის თანახმად, საგარეჯოს ქარხნის აგური ვერც ერთი პარამეტრით ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს...

მაგრამ დავუბრუნდეთ ქუთაისელთა ბრიგადას. სამტრედიის კომბინატის აგურის პარტიაში პროდუქციის ნახევარზე მეტი წუნიანი აღმოჩნდა. თანაც მშენებლებს 200 აგური დააკლეს. **მისი წვრილ-წვრილი დანაკლისი საყოველთაო სენად იქცა. ქარხნების უდიდესი უმრავლესობა ასიდან ოთხასამდე აგურს აკლებს ყოველ კონტეინერსა თუ მანქანას!**

— არბიტრაჟის მეშვეობით ქარხნებისათვის დაჭარელისი პროდუქციის თანხაზე სარჩელი 100 მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოს, — გვითხრა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს უფროსმა იურისკონსულტმა ტ. კაშკარიოვამ. — თუ სარჩელის თანხა ნაკლებია, მას საერთოდ არ იღებენ მხედველობაშიო...

ეს ვითარება იმის საფუძველს როდი იძლევა, რომ გულხელი დავიკრიფოთ და ნაკლოვანებებს შევურიგდეთ. ზემოაღნიშნულ პირობებში მშენებელთა კოლექტივების ხელმძღვანელებს არ უნდა მიეღოთ წუნდებული პროდუქცია, არამედ მიმწოდებელი ქარხნისათვის დაებრუნებინათ იგი. გარდა ამისა, საჭირო იყო გამოეჩინათ პრინციპულობა, ეცნობებინათ ქარხნის ხელმძღვანელობისათვის, თუ რა უხეში დარღვევები ხდება აგურით მომარაგებაში და დაესახელებინათ კონკრეტული დამშავშვილნი.

განა არა ღირს დავიანგარიშოთ, თუ რამოდენა ეკონომიკური ზარალს აყენებს წუნი მთლიანად დარგს, და აგურის ქარხნებს ასანაზღაურებად წარვუდგინოთ ანგარიში წუნდებული და დაკლებული პროდუქციისათვის.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ სამშენებლო ორგანიზაციათა ცალკეული თანამდებობის პირები, ძირითადად მომმარაგებლები, შეურიგდნენ ნაკლოვანებებს მშენებლობათა მომარაგებაში. ისინი ტექნიკურ ლაბორატორიებს არ მიმართავენ წუნის გამოვლენისათვის, უფრო მეტიც, საწარმოთა იურისკონსულტებს არ ანამენ წუნის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში!

წუნდებული პროდუქციისათვის შედგენილ აქტ-რეკლამაციებს უპირატესად საქალალდეებში ჩაკრავენ ხოლმე, ბევრი მათგანი ვერც კი აღწევს აგურის ქარხნების ადმინისტრაციამდე. და გამოდის, რომ მშენებლები უნებურად თვითონ უწყობენ ხელს წუნმკეთებლებს.

იქნებ ეს იყოს იმის მიზეზი, რომ ავჭალის ქარხანა თავს არ იტკივებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ფიქრით.

...ავჭალის ქარხნის საყალიბებელი საამქრო. ავტომატის მარჯვე ფოლადის „ხელები“ სწორ მწკრივებად აწყობს ურიკაზე ნედლ აგურს, რომელმაც საკნებში სპეციალური დამუშავება უნდა გაიაროს. ავტომატს ემსახურება მეყალიბე ლ. მამინტოვა, ათი წლის სტაჟის მქონე სპეციალისტი. გკითხეთ, რამდენ აგურს აწყობთ ურიკაზე?

— 850-ს, — გვიპასუხებს იგი.

— რამდენი დაიწყეთ?

არაფერი უპასუხია, თორმეი აერია ანგარიში. და, სიერთოდ, ძრაა თვლის. ისეც ძლივს ასწრებს ავტომატის მომსახურებას. მეყალიბე თვალად მოზომავს აგურის პირამიდას და გვერდზე გადადგამს ურიკას.

დაწყობა დამთავრდა. — მაინც, რამდენი აგურია? 850, მეტი თუ ნაკლები?

— მე ავტომატი არა ვარ...

— სწორია. მერედა, სად არის ავტომატური მრიცხველი?

— გაფუჭებულია...

ქარხანაში ზუსტად არ აღრიცხავენ გამოშვებულ პროდუქციას.

ურიკას საკნისაკენ გააგორებენ. იქიდან დასატვირთავ მოედანზე გაიქნევ და ამწის ქვეშ აყენებენ. არც მეამწემ იცის ურიკაში აგურის რაოდენობა. იგი ერთი მეტრი სიმაღლიდან ჩაყრის სამი ურიკის აგურს მანქანაში, ზედნადებში კი ჩაწერს — 2,5 ათასი ცალი. ჰოდა, გზავნიან ასე სამშენებლო მოედანზე — თავი გაიხეთქონ და თვალონ მშენებლებმა!

ეტყობა, ასე მოუვიდა აგურის იმ პარტიასაც, რომელიც გაუგზავნა № 6 ტრესტს აჯამეთის ქარხანამ და რომელსაც 2.800 აგური აკლდა. იგივე განმეორდა შარშან 30 აგვისტოს და 8 დეკემბერს — დანაკლისმა 3.800 და 5.100 ცალი შეადგინა. სექტემბერში მარტო აღნიშნული ტრესტის მშენებლებს 25 ათასი აგური დააკლეს! ეს 7,5 ათასით მეტია, ვიდრე აგვისტოში. ასეთი პრაქტიკა წელსაც გრძელდება.

ძნელი გასაგებია, რატომ არის, რომ ზოგიერთი აგურის კომბინატისა და ქარხნის ხელმძღვანელობა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები თავს არიდებენ თავიანთი საწარმოო პრობლემების პრაქტიკულ გადაწყვეტას, თუმცა სწორედ ამას უსახავს მათ მიზნად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მეურნეობრიობის მექანიზმის სრულყოფის შესახებ.

ჩვენში რომ ვთქვათ, **განა დრო არ არის ქარხნების სახალხო კონტროლის ჯგუფებმა პარტიულ ორგანოებთან ერთად მიახდინონ ამი, რომლებიც მეტისმეტად ხშირად სცდებიან სახელმწიფო დოკუმენტის დაანგარიშებასა და აღრიცხვაში. სწორედ ამის შესახებ საქვეყნოდ და პრინციპულად იყო ლაპარაკი საქართველოს პარტიული აქტივის ამაზნინანდელ კრებაზე. განა საიდუმლოა, რომ დიდძალი აგური განწირ მიდის, ამ დატაცებისათვის კი პასუხი ჯერ არავის უგია!**

მაგრამ დავუბრუნდეთ დასატვირთ მოედანს. საკნებში გამოვლის შემდეგ აორთქლებულ სილიკატურ აგურს კი არ ტვირთავენ, ჰრაფულ ერთი მეტრი სიმაღლიდან ყრიან ლითონის კონტეინერებსა და მანქანების ძარებში. ვერ უძლებს და იფშვნება რკინა, იმსხვრევა აგური. დატვირთვის დროს სიფრთხილის არავითარ ღონისძიებას არ მიმართავენ, მოეფინის მახლობლად კი დგას ავჭალის ქარხნის თავარი ინჟინრის მოადგილე ი. კვლიშვილი და თვალს აყვანილს დატვირთვას. სამსახურებრივი მოვალეობის გამო მაინც უთხრას შენაშენს: „შეჩერდი!“.

ჩვენი აზრით, მთელი ეს არანორმალური ვითარება იმით ხრის გამოწვეული, რომ ადგილებზე მუშები და სპეციალისტები ჯეროვნად ვერ აფასებენ ბრიგადას იმ მაჩვენებლებისათვის, რომლებიც შრომის საბოლოო შედეგებს ახასიათებს. ურიგო არ იქნებოდა, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს უფრო სერიოზული ყურადღება დაეთმო ხარისხიანი პროდუქციით მშენებლობათა მომარაგების საკითხებისათვის, ხალხის დოვლათის გაფრთხილებისათვის!

თ. ჭაფაჯაშვილი,
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს უფროსი.

ᲑᲣᲜᲘᲡᲛᲙᲔᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘ — ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲑᲝᲫᲖᲔ!

ᲑᲐᲒᲘᲠᲒᲖᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ სამეცნიერო სამმართველოში — „საქმთავარბაგირგზაში“ დაიპროექტეს და უკვე დაიწყეს კიდეც საბაგირო გზის მშენებლობა სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კომპლექსიდან ბაგებში მდებარე სტუდიალაქამდე.

ბაგირგზა ოცდახუთჯერ შეამცირებს სატრანსპორტო მანძილს ამ ორ პუნქტს შორის. საბაგირო გზის სიგრძე 303 მეტრი იქნება და დასაფარავად სამი წუთია საჭირო.

აღნიშნული ბაგირგზისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობა უკვე დაამზადეს ლენინგრადის სამრეწველო გაერთიანება „ესკალატორში“, ვაგონების შეკვეთა კი ვათვალისწინებულია საზღვარგარეთ.

როგორც მშენებლები ვარაუდობენ, ბაგირგზის მშენებლობა წლის ბოლოსათვის დამთავრდება და უნივერსიტეტის სტუდენტები ჩინებულ საჩუქარს მიიღებენ.

გ. პაპუაშვილი.



ᲟᲚᲔᲠᲡ ᲡᲐᲔᲡᲢᲠᲐᲓᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს პოპულარული საესტრადო მუსიკის ფესტივალი „გაზაფხულის რიტმები. თბილისი-80“.

ფესტივალის ორგანიზატორები არიან საქართველოს ალკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი, რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირი და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია.

სპეციალური ჟიური კონკურსში მონაწილე სამ საუკეთესო ანსამბლს მიანიჭებს ფესტივალის ლაურეატის წოდებას. დიპლომებით დაჯილდოვდებიან ფესტივალზე შესრულებული სხვადასხვა ხასიათის საუკეთესო სიმღერების შემსრულებლებიც.

ფესტივალი 16 მარტამდე გასტანს.

სურათებზე: ესტრადაზეა დონეცკის ანსამბლი „დიალოგი“; მოსკოვის ანსამბლის „გლობუსის“ სოლისტები ა. ბელოვი და ა. გუსეინოვი.

ს. კილაძის ტექსტი და ფოტო.

ᲙᲘᲜᲝᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲖᲔ

დოკუმენტური ფილმის ძალა

ᲮᲝᲛ გინახავთ დათოვლილი, მიუვალი მთის სოფელი? გაუტეხავი ბილიკებით, ამოლებული საკვამურებით, ზვავების გუგუნით.

ორსართულიანი სახლისკენ ბილი მკვირცხლად მიაროვეგეს ბილიკს. ეზოში თავის წიო შეშასაც დაკაბამს, ლუმელსაც დაგიზგიზებს, მას მეორე მოჰყვება, მესამე... მთის სკოლაში დიდ, ნათელ ფანჯრებს იქით გაკვეთილები დაიწყო.

კაფრში ჩნდება გულზვიადი მთები, ჭიუხები, საძოვრები, საკვამურები — ზოგან ამოლებული, ზოგან ჩამქრალი. ზოგი ფუძე ბავშვრავალი, ზოგიც გამოკეტილი. ისევ სკოლის ზარი, ფანჯრის მიღმა ისევ მასწავლებლის ხმა — წიკლაური, ბექაური, ბურდული, არაბული, ჩოხელი. „ვარ“ — ისმის ყმაწვილის ხმა ჯერ საკლასო ოთახიდან, შემდეგ თანდათან ძლიერდება. „ვარ!“, იძახის მიტოვებული და მიუტოვებელი ალერა, იძახის სოფელი, იძახის მთა, ჭიუხი, მწვერვალი, იძახის ჯიში გაუტეხავი, ალალი.

ასეთი სანტეტრესო რეჟისორული გაარზება მისცა მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს „სკოლა მთაში“ რეჟისორმა თემურ დოლიძემ, რომელიც ახლახანს კინოს სახლში გამართულ მის შემოქმედებითს საღამოზე ვნახეთ.

თ. დოლიძემ საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი დაამთავრა. პედაგოგმა, ცნობილმა საბჭოთა კინორეჟისორმა რ. კარმენმა აღზრდილს პროფესიონალიზმთან ერთად საქმის სიყვარული და ერთგულებაც ჩაუნერგა.

და აი, უკვე ათი წელია, რაც დოკუმენტალისტი რეჟისორი დამოუკიდებელ, რთულ, შემოქმედებითს გზას მიჰყვება. ამ ხნის განმავლობაში მან ოცდაათი ხანგრძლივ-დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადაიღო. მის ფილმებს ახასიათებს ჭეშმარიტად მაღალი პროფესიული კულტურა, დახვეწილი კომპოზიცია, მონტაჟის ზუსტი, ზომიერი შეკრძნება, მისი თითქმის ყველა დოკუმენტური ფილმი იწყება და მთავრდება დიდი ეკრანისათვის დამახასიათებელი მხატვრული გაზარებით, რომელსაც ყოველთვის ერთვის გემოვნებითა და ტაქტით შერჩეული მელოდია, მუსიკა. თ. დოლიძის მთავარი თემა შრომა და შრომელი ადამიანები.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). რაიონის სახალხო თეატრი მესამედ გახდა საკავშირო ფესტივალის ლაურეატი და დიდი ოქროს მედლის მფლობელი.

ეს გამარჯვება თეატრს მოუტანა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მოტივებზე შექმნილმა სპექტაკლმა „ხიბლი წუხილისა“. ინსცენირება, დადგმა და მხატვრობა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სახალხო თეატრის მთავარ რეჟისორს გ. ჯაფარიძეს, რომელიც ვაჟა-ფშაველას როლს თვითონ ასრულებს.

ვ. ციბრეკიძე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲖᲔ

ᲙᲘᲚᲝᲕᲝᲓᲡᲙᲨᲘ

ᲢᲐᲠᲐᲨᲘᲡ დაცვა, რომელიც ალექსანდრია-ახმილოვსკაიას მატჩის მეხუთე პარტიაში შეგვხვდა, შავების აქტიურ ფიგურული თამაშის შესაძლებლობას აძლევს, მაგრამ ცენტრში გამხლოლებულ პაიკს უტოვებს. როდესაც დიდოსტატებმა ეს ტარაშს ჟოხრეს, მან მიუგო: „ვისაც ეშინია თავის ბანაკში გამხლოლებული პაიკის მიღებისა, მან საერთოდ არ უნდა ითამაშოს ჭადრაკი“. ალექსანდრიას და ახმილოვსკაიას მართლაც არაფრის ეშინოდათ, ისინი ოია, მძაფრ, საინტერესო ბრძოლას აწარმოებდნენ, თუმცა, რა თქმა უნდა, შეცდომებისაგან დაზღვეულნი არ იყვნენ.

პირველი შეცდომა ახმილოვსკაიას მოუვიდა. მან მე-13 სვლაზე მხედრის მანევრი განახორციელა, რომლის დეფექტი ალექსანდრიამ შესანიშნავად გამოავლინა. ცენტრში კომბინაციური დარტყმით თეთრებმა მოიგეს პაიკი და უკეთესი პოზიციაც შეინარჩუნეს. 26-ე სვლაზე უკვე ალექსანდრია შეცდა და მეტოქეს კონტრთამაშის მიღების საშუალება მისცა. გაიცვალა ლაზიერები. მართალია, თეთრებმა შეინარჩუნეს ზედმეტი პაიკი, მაგრამ შექმნილ პოზიციაში მისი გამოყენება ოდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. წინა შეხვედრებისაგან განსხვავებით მეტოქეები საკმაოდ სწრაფად თამაშობდნენ და მოფიქრებისათვის დიდი დრო დარჩათ.

პარტიის დასკვნითი ნაწილა ალექსანდრიამ კარგად წარმართა. მან ეტლი გადაისროლა მეტოქის ბანაკში და მეფეც აქტიურ პოზიციაზე გადაიყვანა. გაცვლითმა ოპერაციამ, რომელიც ახმილოვსკაიამ წამოიწყო, კიდევ უფრო გააუარესა მისი მდგომარეობა.

ᲤᲔᲚᲓᲔᲜᲨᲘ

ᲐᲕᲜᲘᲢᲠᲘᲜᲘ ამ ქალაქში დამთავრდა პეტროსიან-კორჩნოის პირველი გადადებული პარტია. იგი, ისევე როგორც მეორე შეხვედრა, ყაიმით დასრულდა (70-ე სვლაზე). ანგარიში გახდა 1:1.

ᲙᲚᲛᲙ-ᲙᲝᲙᲐᲨᲘ

ᲗᲐᲚ-ᲙᲝᲚᲣᲒᲐᲔᲕᲐᲩᲙᲘᲡ მატჩი, რომელიც უნდა დაწყებულიყო 9 მარტს, ორი კვირით გადადიდო. იგი 23 მარტს დაიწყება.

FIDE
GENS UNA SUMUS

ᲝᲠᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ

ᲖᲐᲞᲝᲠᲝᲟᲘᲔᲨᲘ დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი ძიუდოში. ასპარეზობა უკვე დაამთავრეს ქვემძიმე და მძიმე წონის ათლეტებმა. **ქვემძიმე წონის კატეგორიაში რამაზ ხარშილაძემ მეტოქეებს წარმატების იმედი გადაუწურა და პირველობა მოიპოვა.** აღსანიშნავია, რომ მან ფინალში დაამარცხა 1979 წლის მსოფლიოს ჩემპიონი თემურ ხუბულური. მძიმე წონაში გამარჯვა მოსკოველმა ვიტალი კუზნეცოვმა.

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲨᲘ დამთავრებულ მოკიბადეთა საკავშირო ჩემპიონატში თავი ისახელა ბაკურიანელმა თამაზ ქუშარტაშვილმა. მან ერთადგილიანი ციგით ასპარეზობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. მას მხოლოდ რიგელმა ი. ეისალმა გაუსწრო.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔᲖᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ დამთავრდა კალათბურთელთა ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ასპარეზობა. თბილისის „დინამომ“ ბოლოსწინა ტურის მატჩი მოუგო ლენინგრადის „სპარტაკს“ (68:67), ხოლო ბოლო შეხვედრა მოსკოველი არმიელებთან წაგო (79:126). ამჯერად საქართველოს „კალათბურთელები მხოლოდ მეექვსე ადგილს დასჯერდნენ (40 ქულა). პირველი-მეხუთე ადგილები ასე განაწილდა: 1. ცსკა — 53 ქულა, 2. კიუნსის „ჟალგირისი“ — 46, 3. მოსკოვის „დინამო“ — 45, 4. კიევის ცსკა — 41, 5. ლენინგრადის „სპარტაკი“ — 41 ქულა (ლენინგრადელებმა კიეველებთან ერთი შეხვედრა მოიგეს, ორი კი წააგეს).

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ დიდი წარმატება აქვს საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაციისა და ბავშვთა ხელოვნების გალერეის ერთობლივ კონკურსზე მიღებული ნახატების გამოფენას. ბავშვთა ნახატების გამოფენა გაიხსნა სასტუმრო „როსიის“ კინოთეატრის ფოიეში, მთამსვლელთა საკავშირო პლენუმის დღეებში. ბავშვთა ნახატების კონკურსში, რომლის დევიზია „ჩემი მთები“, ჩვენი რესპუბლიკის 600-მდე მოსწავლე მონაწილეობს. გამოფენა ერთ თვეს გაგრძელდება.

დ. ᲑᲝᲬᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲬᲘᲜ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ფეხბურთში საკავშირო თასის გათამაშების ჯგუფური ტურნირები. თბილისი-რუსთავის და სამარყანდის ზონებში (შესაბამისად მეოთხე და მეორე ზონები) გამართულ ასპარეზობათა საბოლოო შედეგების შესახებ უკვე ვიტყობინებოდით. დანარჩენ ზონებში ბოლო ტურის შეხვედრები ასე დასრულდა:

პირველი ზონა. სოჭი. „მეტალისტი“-„კრილია სოვეტოვი“ — 0:0, „ფაკელი“-„ყუბანი“ — 0:0, მოსკოვის „სპარტაკი“-„ზენიტი“ — 1:1, 6-6 ტყლიან შესაბამისად პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს „ფაკელმა“ და „სპარტაკმა“. ორივე მერვედფინალში ითამაშებს. „მეტალისტმაც“ 6 ქულა დააგროვა, მაგრამ მას ბუნდოვანი „ფლეს მსოფლიოში“ (მ), 20.00 — „ბოსმბე“ (ფ.), 20.30 — ქართული საგალეევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთები, მთები“ (ფ.), 20.50 — ქართული მხატვრული ფილმი „სინემა“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „სპორტული მიმოხილვა“ (ფ.), 23.05 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ეზაზე“, 16.00 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია (ფ.), 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — კონცერტი, 17.25 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.45 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა (ფ.), 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.50 — საგალეევიზიო მხატვრული ფილმი — „კოცონი თოვლზე“.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ვრემია“, 09.40 — „დილის ვარჯიში“, 10.05 — „სპილო და საბელი“. მხატვრული ფილმი, 10.50 — კინომოგზაურთა კლუბი. დამთავრების შემდეგ და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — შენი შრომა — სიმაღლეა შენი. კინოპროგრამა, 16.30 — ვარსკვლავთმრიცხველი. ტელეეფარნალი, 17.15 — გამოგვეხმაურეთ, ჰორნისტებო!, 17.45 — რუსული ენა, 18.15 — ახალგაზრდათა მისამართები, 19.15 — ს. პროკოფიევისა და ვ. სარასატეს ნაწარმოებები, 19.30 — „ხუთშლეგდის მედროშენი“, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — მეცნიერება, 20.30 — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის გამო. მხატვრული ფილმი „ნდობა“, 22.00 — „ვრემია“, 22.35 — ნეიდანოვას ქუჩაზე. შესვენებისას (23.10) — დღეს მსოფლიოში.

მეოთხე პროგრამით: 20.00 — სოფლის საათი, 21.00 — „ძიელი ნეპალ, პაპარუბონ“!, 21.15 — მუსიკალური კიოსკი, 21.45 — დოკუმენტური გალეფილმი „დღეენიადაგ ეზაში“, 22.10 — ფ. ზუბერგი — № 5 სიმფონია სი-ბემოლ მაჟორი, 22.40 — მხატვრული გალეფილმი „ალტუნინი გადაწყვეტილებას იღებს“. მეორე სერია.

ᲢᲔᲚᲔᲒᲘᲖᲘᲐ

12 ᲛᲐᲠᲢᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — ანიგურიენგთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ), 17.35 — შეისწავლოთ გერმანული ენა (ფ.), 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.25 — „მხედრული დიდება“, 19.00 — „ბუნების ჯარი“ (ფ.), 19.45 —

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ,

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲡᲜᲘᲡᲛᲘᲗᲘ ᲤᲠᲘᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲚᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ. ᲮᲝᲨᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ, 29.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, Გ/ᲛᲓᲒᲘᲜᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲒᲘᲜᲝᲡᲘᲡ — 99-66-10, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲯᲕᲚᲘᲡᲢᲣᲚ-ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 99-22-93, ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲫᲘ